პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 208 (18750) პარასკევი, 9 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული გამარჯვების საყრდენი

ეს ამბავი „კომუნისტის“ რედაქციაში ამ ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა შემოსული ინფორმაციების ნაკადმა. საკუთარი და სანოგადოებრივი კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომითი კოლექტივები სულ უფრო დამაჯერებელ შედეგებს აღწევენ. ათასობით მუშამ, ბრიგადამ, საამქრომ, შახტამ და სამშენებლო უბანმა, ავტოსატრანსპორტო საწარმომ უკვე შეასრულეს იუბილესათვის ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი მიჯნები დაისახეს. დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში მკვეთრად შემცირდა ჩამორჩენილ კოლექტივთა რიცხვი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

რა არის დამახასიათებელი შრომითი გამარჯვების პატაკებისათვის, რით განმორჩეულან ისინი წარსულისა და მათ უმეტეს წარსულნინდელი მსგავსი ინფორმაციებისაგან? დღეს აქ წინა პლანზეა წამოწეული შრომის, ტექნოლოგიური და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, კადრების დენადობის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები. დისციპლინა ხდება კოლექტივის მუშაობის შეფასების კრიტერიუმი. დისციპლინის განუხრელი დაცვა ის რეზერვია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ისეთი საკვანძო მაჩვენებლების ზრდა, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება და წარმოების მოცულობა. მაშასადამე, აღარ უნდა მტკიცება იმას, რომ დისციპლინის მაჩვენებელმა ახლა მთავარი ადგილი დაიკავა.

სწორედ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლით მიაღწიეს ძირითადად წარმატებებს და დაწინაურდნენ შრომითს მეტოქეობაში ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის, აჯარის თევზეკრის სამმართველოს ფლოტის კაპიტანი ბრიგადირების გ. უკლებას, ვ. მადოიანის, ვ. იდრიშნიკოვის სეინერების, „სოხუმხელსაწყოს“ ქარხნის, „საქხამოქიმმრეწვის“, ჭიათურის „შახტმშენის“ სამმართველოს კოლექტივები. მრავალმა მათგანმა სამშობლოს მიმდინარე და სამი წლის გეგმების შესრულება უსატაკა.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები მშრომელთა ყოველდღიური მოქმედების ნამდვილი პროგრამა გახდა. სახალხო მეურნეობის დარგთა რიგი ორგანიზაციები ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

დიახ, სახალხო მეურნეობის დარგთა მთელი რიგი ორგანიზაციები პირნათლად იბრძვიან წესრიგისათვის და ამან რამდენადმე გაუმჯობესა საერთო მდგომარეობა, მაგრამ ეს, ვიყოთ გულახდილი და ვალიაროთ, რომ წვეთია ზღვაში. საამაყო ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი გვაქვს. საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში რესპუბლიკის ინდუსტრიამ გაცდენებისა და დაგვიანებების გამო 33,4 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკარგა. ბევრი საწარმოს, მშენებარე ობიექტის, სატრანსპორტო თუ სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელები წესრიგის დამრღვევებისადმი ძველებურად ლმობიერებას იჩენენ და ეს ცუდია. დროა ყველამ შეიგნოს, რომ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა კამპანიური ხასიათის არ არის, იგი მთელი ჩვენი ეკონომიკის, საზოგადოებრიობის ყოველგვარი წინსვლის საყრდენი უნდა გახდეს.

ამას ახლა განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მთელი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით უნდა შეფასრულოთ ზემოხსენებული დადგენილების ყველა პუნქტი, არ შევურიგდეთ იმათ, ვისაც არ სურს იაროს ჩვენი ცხოვრების მხარდამხარ. განუხრელად უნდა ვიცავდეთ კანონს შრომითი კოლექტივების შესახებ, რომელიც ახლა შეხაძლებლობებს ანიჭებს კოლექტივებს წესრიგის დამრღვევებზე ზემოქმედებისათვის. გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ობიექტების პარტიულმა ორგანიზაციებმა არც ერთი წუთით არ უნდა შეანელონ ყურადღება დაგვიანებებისა და გაცდენების შემთხვევებისადმი. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან სისტემატური, მკაცრი კონტროლი დაუწესონ იმას, თუ ზემოქმედების რა ღონისძიებსა და მეთოდებს იყენებენ შრომითს კოლექტივებში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

ჩვენში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი და ორი როდია ისეთი საწარმო, სადაც მკვეთრად შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მათ შორის გახლავთ თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო და ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნები, „საქხამოქიმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანება და სხვები. კარგია, რომ საავიაციო ქარხნის კოლექტივმა, რესპუბლიკაში დისციპლინის განმტკიცების ინიციატორმა, შედარებით მოკლე დროში სამუშაო დროის გაცდენის რიცხვი სამჯერ შეამცირა.

ყველაფერი უნდა იღონონ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოების, თბილისის ტრიკოტაჟის საკვლის საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა. საქმე ვერაფითარ შემთხვევაში ვერ ითმენს დაყოვნებას.

კადრების დამკვიდრებისათვის ზრუნვა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ბოლო ხანს ამ მიმართულებით ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში ძალზე შთამბეჭდავი ძვრები მოხდა, მაგრამ საერთო მდგომარეობა ადრინდებულად მძიმეა, კადრების დენადობა კვლავ გრძელდება. არადა, როგორც იმავე თბილისის საავიაციო ქარხნის გამოცდილება მოწმობს, თუ კადრების შენარჩუნებისათვის მიზანდასახულად ვიბრძოლეთ, სასურველი შედეგს მივაღწევთ. აქ მოხუცულ ახალგაზრდას, როგორც წესი, უპირველესად დამრიგებელს მიამაგრებენ, აუცილებლად ანამენ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სოციალისტურ შეჯიბრებაში, ესაუბრებიან საწარმოს დიდებულ წარსულზე, აქ დამკვიდრებულ ტრადიციებზე. ახალგაზრდებს ქარხანაში ნაყოფიერი შრომის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურად შენდება 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაშიც. ადამიანებზე ზრუნვის, მათთვის ნორმალური მუშაობის და ცხოვრების პირობების შექმნის შედეგია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მცირდება კადრების დენადობა, იზრდება მსურველთა რიცხვი, რომლებსაც აქ უნდათ მუშაობა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ხუთწლედის პირველ ნახევარში საწარმოში 8 ათასი კაცი მოვიდა.

პარტია მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველყოთ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მჭიდრო კავშირი. ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზეც.

შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, კადრების შენარჩუნებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად უწყობს ხელს დამრიგებლობის მოძრაობის განვითარება, ამ საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრა. ამ საკითხთან დაკავშირებით ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა პარტიის ვეტერანებთან შეხვედრისას თავის გამოსვლაში თქვა, რომ „ყოველი პარტიის ვეტერანი, ყოველი შრომის ვეტერანი ახალგაზრდობის დამრიგებელი უნდა იყოს. იმას, თუ რა ფორმით განხორციელდება ეს მისია, როგორ დაიუენონ უკეთ საქმე, ვეტერანებთან ერთად უნდა დაუფიქრდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები“.

პარტიის ვეტერანებთან შეხვედრისას ისიც ითქვა, რომ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება ბევრად არის დამოკიდებული კარგად დაყენებულ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაზე, მაგრამ ეს მუშაობა აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შრომის თანამედროვე ორგანიზაციას, ადამიანების გონივრულ განაწილებას, ზუსტ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მორალური და მატერიალური სტიმულირების მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების სრულყოფას.

ლაურეატია ნია-გრუზინსკაია!

ვულოცავთ მის შემქმნელთა სახელოვან კოლექტივს!

საუკეთესო დაბა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბანზე — ეს საყოველთაო აზრი ნია-გრუზინსკაიას შესახებ დადასტურდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიით. პრემია მიენიჭა დაბის შემქმნელებს, რომელიც ვადაზე ერთი წლით ადრე აშენდა ძველ ტაიგაში.

საინფორმაციო კორესპონდენტები ტელეფონით დაუკავშირდნენ იმათ, ვინც აშენებდა დაბას და იმათაც, ვინც ახლა ცხოვრობს იქ და შეუძლია შეაფასოს არქიტექტორების შემოქმედებითი ძიება და მშენებელთა თავდადებული შრომა.



მშენებარე დაბა იკაბია, ჩარსკის რაიონი, ჩიტის ოლქი

ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენი მრავალი წლის შრომის შედეგმა ასეთი მაღალი შეფასება დაიმსახურა, დიდად გახარა კოლექტივი, — თქვა სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქბამმშენის“ უფროსმა ანზორ ვარლამის ძე დვალიშვილმა. დაბა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიაზე წარადგინეს ორ წელზე მეტი ხნის წინათ. კონკურსის მკაცრი პირობები მოითხოვდა, რომ მას გამოემჟღავნებინა თავისი „სალექსპლოატაციო“ თვისებები გარკვეული დროის მანძილზე. ამ პერიოდში მწყობრში ჩადგა მრავალი დაბა მაგისტრალზე. მაგრამ, როგორც ხედავთ, კონკურენტი ნიას არ აღმოუჩნდა. და ეს ჩვენს განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევს.

ახლა ვაშენებთ ბამზე ახალ დაბას — იკაბიას. აქ, როგორც იტყვიან, ყველაფრის თავიდან დაწყება გვიხდებოდა, მნიშვნელოვად გაიზარდა სიძნელეები — ჩვენ ხომ სრულიად დაუსახლებელ რაიონში ვმუშაობთ, არა გვაქვს გზები, მომარაგების ბაზები შორს არის. მაგრამ ნიას აშენებამ უდიდესი გამოცდილება შეგვძინა. ბევრი რამით, რაც პირველად გამოვიყენეთ ნია-გრუზინსკაიაში, ფართოდ ვსარგებლობთ აქაც. ეს არის მუშაობის ორგანიზაციის მეთოდები, განსაკუთრებით ზამთრის უინვაში და მზრუნველობა ადამიანებზე. ბევრ რამეს ვსარგებლობთ, — საკმარისია თქვას, რომ ჩვენ ახალ ადგილზე არც ერთი ხე არ მოგვიჭრია...

ნია-გრუზინსკაიას მშენებლობამ შვა ტრადიციაც, რომელსაც აქაც ვაგრძელებთ, — კონკრეტული საქმეებით ვუპატაკოთ საერთო-სახალხო დღესასწაულს, თვალსაჩინო მოვლენებს. ასე იყო ნიაშიც, რომლის პირველი რიგიც ჩავაბარეთ სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დაწყების დღისათვის. ასე იქნება იკაბიაშიც, რომლის პირველი ობიექტების, მათ შორის რამდენიმე საცხოვრებელი სახლის ჩაბარება გადაწყვეტილი გვაქვს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის.

ქალაქი უსტ-კუტი, ირკუტსკის ოლქი

— **ჩვენს** თვალწინ ყალიბდებოდა ქართველ ბამელთა კოლექტივი, ჩვენ თვალწინ იზრდებოდა ახალი დაბა,—თქვა სკკპ უსტ-კუტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ივანე ალექსანდრეს ძე პანჩუკოვმა. —კარგად მახსოვს, რომ წლინახევრის წინათ რუსეთის სფს რესპუბლიკის სახმშენმა ნიაში მოაწყო სემინარ-თათბირი, რომელზეც განაზოგადეს ქართველ ბამელთა გამოცდილება. გულგრილი აქ არავინ ყოფილა, სამაგიეროდ შეიძლებოდა გვესწავლა ნია-გრუზინსკაიას მშენებლებისაგან, უწინარეს ყოვლისა გვესწავლა კეთილსინდისიერება. ხომ იცით, ზოგიერთი მშენებლის პოზიცია ასეთია — როგორმე მოვათავო საქმე და დანარჩენი რაში მეკითხება, მე ხომ არ უნდა ვიცხოვროო აქ. ქართველმა ამხანაგებმა მუშური სინდისის კარგი გაკვეთილი მოგვცეს— შექმნეს ჩინებული ხარისხის დაბა და თანაც ვადაზე ადრე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ ხარისხის ეტალონები უნდა ავიღოთ ყოველგვარი შეღავათის გარეშე, ყველაზე მაღალი. ნია-გრუზინსკაიას აშენება იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იმუშაო ხარისხიანად, ნამუსიანად.

მალე ჩვენ საზეიმოდ აღვნიშნავთ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ნებაყოფლობით შესვლის 200 წლისთავს. ქართველ მშენებელთა ჩინებული მუშაობა ჩვენი ხალხების ძმური ურთიერთობის ულოველობის კიდევ ერთი დადასტურებაა, ხალხებისა, რომლებიც აი უკვე ორი საუკუნეა ცხოვრობენ სიამტკბილობით, მუშაობენ მხარდამხარ.

დაბა ნია-გრუზინსკაია, უსტ-კუტის რაიონი, ირკუტსკის ოლქი

— **აი,** უკვე შვიდი წელია ვცხოვრობ ნია-გრუზინსკაიაში, ვიყავი იმის მოწმე, თუ როგორ შენდებოდა იგი, — თქვა ბაიკალ-ამურის რკინიგზის ნიის სადგურის უფროსმა ვლადიმერ ივანეს ძე ბურატოვმა. — რა შემიძლია ვთქვა: დაბამ სამართლიანად მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ნიაში არ არის არც ერთი თავისუფალი ბინა. პირველი დღეებიდანვე დაბაში ცხოვრობს 1100 კაცი და აქ დასახლების მსურველთაგან, როგორც იტყვიან, მოსვენება არ არის.

დაბის ძირითად მოსახლეობას ახლა შეადგენენ რკინიგზელები. ვინაიდან დაბა სადგურისპირაა, ჩვენ მას დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ —საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც, და მაგისტრალის მუშაკთა ნაყოფიერი შრომისათვის გამოსადეგობის თვალსაზრისითაც. ქართველმა ამხანაგებმა ჩინებული სადგური ააგეს. იგი მოსახერხებელია როგორც მგზავრებისათვის, ისე ექსპლოატაციის მუშაკებისთვისაც. მე უკვე აღარაფერს ვამბობ მის შესანიშნავ გაფორმებაზე.

ერთი სიტყვით, ახლა ნიაში მოსახერხებელია ცხოვრება. მინდა ყველა ახალმოსახლის სახელით მივულოცო ქართველ არქიტექტორებსა და მშენებლებს მაღალი ჯილდო და კიდევ ერთხელ სულითა და გულით გადავუხადო მადლობა.

სურათებზე: ნია-გრუზინსკაიას ხედი; „საქბამმშენის“ რაზმის ეს წევრები აშენებდნენ ნია-გრუზინსკაიას.

ა. რუხაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოკრონიკა).

მეტი მოხმარების საქონელი

როგორ ასრულებენ ცხინვალის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებასთან დაკავშირებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის იკისრეს?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა გამოფენამ, რომელიც აქ ახლახან გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია 70-მდე სახეობის ნაწარმი.

გამოფენის დამთვალიერებლებს განსაკუთრებით მოეწონათ სამკერვალო ფაბრიკის, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, საქალაქო სამრეწველო კომბინატის, ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელი.

სამკერვალო ფაბრიკაში დამზადებული პროდუქციიდან აღსანიშნავია სამკვეთო ასორტიმენტი. წლეულს საწარმოში ქსოვილის ნარჩენებისაგან უშვებენ ბავშვის ტანსაცმელს. ნარჩენების გამოყენებით აქ დაიზოგება 14 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი, რაც ფულად გამოხატულებით 15,148 მანეთს შეადგენს. ფაბრიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის გაუმჯობესებას.

ახალგაზრდაა ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, მაგრამ კარგი ორგანიზატორული მუშაობით აქ 36 დასახელების სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება შეძლეს. გამოფენაზე ყურადღება მიიპყრო მამაკაცის საცვლებმა, მაისურებმა, ნარჩენებისაგან დამზადებულმა ხელთათმანებმა, ჩვილი ბავშვის თავსაფრებმა, ხელსაწმენდებმა და სხვ. (ხაკ. კორ.).

ვინ ჩოგოჩ ასრულებს საიუბილეო ვალდებულებებს

დამაჯერებელი შედეგები

თბილისის № 4 მაცივარკომბინატმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. კომბინატის მშრომელებმა დიდი გადაჭარბებით გაახალდეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. საქონელბრუნვის გეგმა ვალდებულებით გათვალისწინებული 4 მილიონი მანეთის ნაცვლად გადაჭარბებულია 10 მილიონი მანეთით. განაღდებულია მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა, მოლებულია 195 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, ამასთან მიღწეულია პროდუქტების შენახვისას დანაკარგების შემდგომი შემცირება.

№4 მაცივარკომბინატი აღიარებულია სანიმუშო საწარმოდ პირველი ჯგუფის საქონლის შენახვაში.

როგორც კომბინატის დირექტორმა შ. შეყრილაძემ გვაცნობა, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის II კვარტალის შედეგებით საწარმო „საქხორკაჟამჭობის“ სისტემის გამარჯვებულად აღიარეს.

(საქინფორმი).

ეღანაკარგოდ ავიღოთ კარტოფილი

ახლოვდება პასუხსაგები სასოფლო-სამეურნეო კამპანია — საგვიანო ჯიშის კარტოფილის ამოღება. კარტოფილის დამზადებისათვის ყველა რგოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკაში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ მინისტრმა — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნ. რუხაძემ თქვა:

— მეკარტოფილეობის წამყვანმა რაიონებმა, ესეთი რაიონი კი ათზე მეტია, მიიღეს კარტოფილის დამზადების დამატებითი დავალებანი, დაუწესდათ სამუშაოთა ზუსტი გრაფიკები. ახალქალაქელებმა, მაგალითად, სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 29.900 ტონა კარტოფილი, აქედან 12 ათასი ტონა საზამთრო მარაგად შეინახება თბილისსა და რუსთავში. დიდძალი კარტოფილი უნდა ამოიღონ წალკის, დმანისის, ახალციხისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

მთელი კამპანიის მიმდინარეობას დაწესებული აქვს კონტროლი, რაიონებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ახლა ამთავრებს მომავალი ალაობისათვის მეურნეობათა მზადყოფნის დათვალიერებას. მიზანი ის კრის, რომ დავეხმაროთ მეურნეობებს, რათა კარტოფილის ამოღება მიმდინარეობდეს მაღალ ორგანიზებულ დონეზე, უზრუნველვყოთ ისინი ტექნიკით, ტრანსპორტით, ტარით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის პრობლემას. თითოეულ მეურნეობაზე მიმაგრებული პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები პერსონალურად აგებენ პასუხს სამუშაოთა მიმდინარეობისათვის. „საქსოფლდამზადება“ პასუხს აგებს პროდუქციის შეუფერხებელი მიღებისათვის, მიაი დამზადებისა და ლიოოს ხილბანტნეულის კომბინატში მისი მიწოდებისათვის, რომელიც ათ სექტემბრამდე მზად უნდა იყოს მოსავლის მისაღებად.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომანქანები დიდძალ კარტოფილს გადმოზიდავენ წალკის რაიონიდან, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ავტოტრანსპორტი — ახალქალაქის, დმანისის, ბოგდანოვკისა და თეთრი წყაროს რაიონებიდან. მოსავლის გადაზიდვაში ჩაბმულია ამიერკავკასიის რკინიგზა.

განხორციელებულია ზამთარში სათესლე კარტოფილის შენახვის ღონისძიებანი.

ყველა სამუშაოს ზუსტი ორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოთხოვნილება ამ მნიშვნელოვან პროდუქტზე, შექმნის ხუთწლედის მომდევნო წლებში კარტოფილის უზარმაზარი მოსავლის მიღების წანამძღვრებს.

საკვებისათვის — სარატოველებთან

აფხაზეთის მექანიზატორებმა პირველი ორი ათასი ტონა ნამჯა დაამზადეს სარატოვის ოლქის სავარგულებში. სულ უნდა დაამზადონ იქ შვიდი ათას ტონაზე მეტი საკვები. ავტონომიურ რესპუბლიკაში იქიდან შემოტანილი ნამჯა დიდად შეუწყობს ხელს პირუტყვის გამოზამთრებას.

აფხაზეთის საკვებმომპოვებლების რაზმის განკარგულებაშია 40-ზე მეტი ტრაქტორი და ავტომანქანა, 14 წნეხ-ამკრები, მოძრავი სარემონტო სახელოსნო, ბენზინმზიდები. (საქინფორმი).

ზეიმზე სევასტოპოლი

სევასტოპოლი, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გმირ ქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს სევასტოპოლისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ძმურად მიესალმნენ და გულითადად მიულოცეს ეროვნული დღესასწაული —ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის 39 წლისთავი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გრიშა ფილიპოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დეკემბა გაუგზავნეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს კიმ ირ სენს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოს პრემიერს ლი დენ ოკს, კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 35 წლისთავის გამო.

მიფრინავს „კოსმოს - 1495“ და „კოსმოს-1496“

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1495“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

მიღებული ინფორმაცია გადაეცემა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითს და საწარმოო ცენტრს „ბუნებას“ დამუშავებისა და გამოყენებისათვის.

* * *

1988 წლის 7 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1496“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ფერილი ვოლოგდიდან

საქართველოს წარგზავნილებს ვაქებთ

ვოლგა-მოსკოვის საავტომობილო მაგისტრალის 70-ე კილომეტრზე მდებარე დაბა ილეიკინოდან ბარს განშტოება გრიაზოვეცის რაიონის ორ დიდ საბჭოთა მეურნეობამდე მიგიყვანთ. ერთ მათგანს „ავროორა“, მეორეს კი „ბუშუიხა“ ჰქვია. აქედან გზა ვოლოგდის ოლქის მეედფურჩენკის რაიონის ცენტრის — სოფელ შუისკომდე მიდის. ტრასაზე ამჟამად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, იგი ასფალტს „იცვამს“. ამ გზის მშენებლობასა და კეთილმოწყობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საიმედოდ დაგვაკავშირებს საოლქო ცენტრთან —ვოლოგდასთან.

არ იკითხავთ, ვინ აშენებს ჩვენთვის ამ მეტად მნიშვნელოვან ტრასას? საქართველოს წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც არაშავმოწანიადაგიანი ზონის მიწების ასათვისებლად აქ 1982 წელს ხაშურის საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოდან ჩამოვიდნენ. ქართველ ახალგაზრდა მშენებელთა ჯგუფი თავის საქმეს დიდი კეთილსინდისიერებით, თავდადებით, შე ვიტყოდი, სიყვარულით აკეთებს, გეგმებს, როგორც წესი, მხოლოდ გადაჭარბებით და ხარისხოვნად ასრულებს.

მიმდინარე წლის დამდეგიდან გზის მშენებლობის დაჩქარების მიზნით ჩვენთან „საქვოლოგდაგზაშენის“ სამმართველოც შეიქმნა. ორგანიზაციამ ახალი ტექნიკა მიიღო, აშენდა და უკვე მოქმედებს ასფალტის ქარხანა, რომელიც ცვლაში 250 ტონა პროდუქციას იძლევა. ამას წინათ მშენებელთა რაზმი მზიური საქართველოს ახალი წარმომადგენლებით, გამოცდილი კადრებით შეივსო, რამაც საქმეს მეტი სიცოცხლე შთაბერა. ქართველებისა და ვოლოგდელების თანამეგობრობა ჩვენი ხალხების ძმობის კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია. ამ ფაქტს განსაკუთრებული ყღერადობა ენიჭება ახლა, როცა ქართველები, რუსები, ყველა საბჭოთა ადამიანი საზეიმოდ აღნიშნავენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

სამუშაო ფრონტი სტებლეეფზიმნაიკის მონაკვეთზე გაიშალა. წლეულს, მიუხედავად სირთულეებისა, გადაწყვეტილია 9 კილომეტრი გზა მოასფალტდეს. ეს ჩვენს პირობებში ადვილი არ არის, მაგრამ იქ, სადაც თქვენი რესპუბლიკის მშენებლები მუშაობენ, წარმატება გარანტირებულია.

მშენებლობის უფროსმა მწარმოებელმა ოთარ მეგრელიშვილმა გვითხრა, რომ სამუშაოები გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით მიმდინარეობს და ეჭვი არავის შეეპაროს იმაში, რომ საქმეს ვადამდე მოვრჩებითო. სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა როგორც ერთი გეგმებს მხოლოდ გადაჭარბებით სსრულებს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოა მძღოლი ვიქტორ მალაზონია, იგი ცვლაში ნორმა-ნახევარს ასრულებს.

— ოცდაათი წელია, რაც საჭეს ვუზიავარ, — მითხრა ვიქტორ მალაზონიამ. — მანქანას ხუთი თითივით ვიცნობ და მოვლა-პატრონობასაც არ ვაკლებ. მოვლილი ტექნიკა კი არასრდეს არ მოალატებს და ამით ვაღწევ წარმატებას, გამოცდილებას ახალგაზრდებს ვუზიარებ, დამრიგებელი გახლავართ.

თავდადებით შრომობენ აგრეთვე ოლეგ კუბლაშვილი და ვაჟა სირბილაძე. მათი თვითმცლელი მანქანები ერთ წუთს არ ცდებიან. საქმეია დურმიშხან კაპანაძე, მისი ექსკავატორი ყოველივის საიმედოდ მუშაობს. გზის მშენებლობის შესანიშნავი ოსტატი გახდა ჩაქრო დიასამიძეც.

აბა, როგორ არ ვახსენო პავლე მაქეშვილი, ამირან კორკოტაძე და გიორგი ფლიუაშვილი. შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ეს ახალგაზრდები ყველასათვის მისაბაძი არიან. მათი უფმდივი თანამგზავრია ორგანიზებულობა, მაღალი შრომისა და ყოფაქცევის დისციპლინა.

ვ. ბერიოზაკინი,

გრიაზოვეცის რაიონული გაზეთის „ხელსაყი პრავდის“ რედაქტორის მოადგილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში

წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის პარტიის წითელწყაროს რაიკომის მუშაობის შესახებ“.

გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ბ. ჭარაქაშვილს იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა რაიონისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების განხორციელების მიზნით, რა ღონისძიებებს ისახავენ მომავლისათვის.

კითხვა: რამ განაპირობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების მიღება?

წითელწყაროს რაიონისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დადგენილების მიღება ამ ეტაპზე განაპირობა რაიონის ცხოვრებაში მომწიფებულმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გადაწყვეტის აუცილებლობამ, სახალხო მეურნეობის პერსპექტივების მასშტაბურობამ, მისი განხორციელებისათვის ხელშემწყობ ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა.

წითელწყაროს რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო რაიონია, მის ინდუსტრიულ-ეკონომიკურ განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელება.

ყველამ და, მით უმეტეს კომუნისტმა, უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკური ამოცანების საერთო წინსვლის უზრუნველყოფას საფუძვლად უდევს სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის ერთიანობის ლენინური პრინციპი. ზოგ შემთხვევაში ამ პრინციპის გაუთვალისწინებლობამ, საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტებამ, კომუნისტებისადმი მომთხოვნელობის დაბალმა დონემ განაპირობა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შესუსტება, სამეურნეო საქმიანობისადმი სუსტი კონტროლი და ის არასასურველი შედეგები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში, ბოლო წლებში რომ არის წითელწყაროს რაიონში.

კითხვა: რა დაედო საფუძვლად დადგენილების განხორციელებას, ანუ როგორია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში ნაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტიის წითელწყაროს რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ აქტივს არა აქვს რაიონის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ზუსტი პროგრამა, საკმაოდ ღრმად ვერ სწვდებიან შრომითი კოლექტივების სოციალური და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, რეზერვების ძიებისა და გამოყენების პრობლემებს, არ განუსაზღვრავთ ადგილი ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში.

ასეთი ერთიანი, კომპლექსური, პერსპექტიული გეგმის შესადგენად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით დიდი მუშაობაა გაწეული. გეგმა დამტკიცდა რაიკომის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განხილვას. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე, ამ გეგმით მუშაობენ ახლა როგორც პარტიის რაიკომი, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციები. გეგმაში კონკრეტულად არის განსაზღვრული თითოეული პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტის როლი, ამოცანა და მოქმედების ადგილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან, ხოლო შემდგომ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პლენუმის დადგენილებებიდან ჯერ კიდევ ყველამ ერთნაირი დასკვნები რომ ვერ გამოიტანა, ამას ადასტურებს სამეურნეო შედეგები.

კითხვა: სიტყვამაც მოგტანა და, როგორია სამეურნეო შედეგები საერთოდ ხუთწლედში და მიმდინარე წელს?

მოგეხსენებთ, მარცვლეული წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. ხუთწლედის განვლილ პერიოდში მისი წარმოება 350 ათას ტონამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბეღლში მიტანილია 150 ათასი ტონა, რითაც საგეგმო დავალებანი შესრულდა. წლეულს დაგეგმილი 21.700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 25.000 ტონა. განუზორციელებელი პრობლემები დარჩა ხორცის, რძის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში, თუმცა ეს დავალებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულდა.

ვფიქრობთ, კარგი საფუძველი ჩაეუყარეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, პირუტყვის გამოზამთრებას, რისთვისაც უკვე დამზადებული გვაქვს 140.000 ტონა უხეში საკვები მათ შორის, 34.000 ტონა სენაჟი.

კარგად დავიწყეთ რთველი. აქეთკენ არის ახლა მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება, პარტიულ-პოლიტიკური, სამეურნეო-ორგანიზაციურ თუ იდეოლოგიური მუშაობა. რთველში მევენახეთა გვერდით არიან აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, ლექტორები, მედიცინის თუ ვაჭრობის მუშაკები, ერთი მიზნით, ერთი განწყობილებით — დათქმული პირობა შეკასრულოთ პირნათლად — სამშობლოს მარანში მივიტანოთ 58.000 ტონა ყურძენი.

რაიონის სახალხო-სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკის თვალით რომ ჩავიხედოთ, დავინახავთ, რომ ამ ბოლო წლებში დაბალია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, ზოგჯერ საგეგმოზე ერთიორად მეტი, იზრდება არარენტაბელური მეურნეობებისა და ძირეული საწარმოო რგოლების რიცხვი. ყველაზე საწყენი და სავალალო კი ის არის, რომ ეკონომიკის ეს მსაზღვრელები და ბერკეტები პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების, იდეოლოგიური დარგის მუშაკების სათანადო ყურადღებისა და რეაგირების გარეშე რჩება. ისიც უნდა ითქვას, რომ მათ სათანადო ანალიზებს, წინადადებებს ვერ უმზადებს და ვერ აწვდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკური სამსახური.

სხვა რას უნდა მივაწეროთ, თუ არა, უყაირათობას, რომ 1982 წელს,1981 წელთან შედარებით, მიღებული იყო 5.300.000 მანეთით ნაკლები საერთო პროდუქცია. დაგეგმილი 13 მილიონი მანეთი მოგების ნაცვლად შარშან მიღებულია 5.890.000 მანეთი, ანუ ნახევარზე ნაკლები. მარტო მეცხოველეობიდან მიღებულმა ზარალმა 2.890.000 მანეთი შეადგინა. ეს გარკვეულ დაღს ასვამს რაიონის კოლმეურნეობათა ფინანსურ მდგომარეობას.

კითხვა: რა მიგაჩნიათ ობიექტურ მიზეზებად, გარკვეულწილად რომ განაპირობებენ დაბალ სამეურნეო შედეგებს?

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგუდგებით ბუნების კრიტიკას, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად მოქმედებს და დიდ ზარალს გვაყენებს — ეს იქნება სეტყვა, გვალვა თუ თქვენი.

რაიონის სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მეცხოველეობაში არსებული ჩამორჩენის, სხვადასხვა ნაკლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ თესლბრუნვის მოშლა, მორიგეობით არ ითესება აგროწესებით გათვალისწინებული კულტურები; ზოგ მეურნეობაში კი უმოწყალოდ შეამცირეს ან უგულებელყვეს ძვირფასი ყუათიანი, ცილოვანი საკვები კულტურების თესვა. ჩაგარდნები და შეუსაბამობა სოფლის მეურნეობაში მანამდე გაგრძელდა, სანამ თესლბრუნვას კანონის ძალა არ მიეცემა.

ობიექტურ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ისიც, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებთან შეფარდებით, არასაკმარისად ვართ უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ტრანსპორტით, მუშახელით.

კითხვა: რას იტყოდით რაიონის სახსრასათო პროგრამის შესახებ?

მიგვაჩნია, რომ ეს ეხება ყველას, ვინც კი სურსათით სარგებლობს. ანუ მისი ფორმულა ასეთია: თუ გინდა რომ იარსებო, უნდა აწარმოო. შედგენილი გვაქვს და მოქმედებს როგორც რაიონის ერთიანი პერსპექტიული გეგმა, ისე კონკრეტული პროგრამები სასოფლო საბჭოებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების მიხედვით. თვითკრიტიკულად უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ სრულდება იგი მოთხოვნათა დონეზე.

სასურსათო პროგრამის ერთ-ერთი დეტალია საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირება მოსახლეობასთან, აუმოქმედებელი შრომითი რესურსების ჩაბმა ამ საქმეში. შარშან კოლმეურნეობებმა მოსახლეობას გამოსაზრდელად და გასასუქებლად მისცეს 4.769 სული ღორი, მათგან ნახევარზე ნაკლები — 2.303 სული მიეყიდა სახელმწიფოს. უფრო სამწუხარო და საყურადღებოა ის, რომ მოსახლეობაში შემცირდა ყველა სახეობის პირუტყვი. ყოველი ღონისძიებით ავამაღლებთ ამ საქმეში სასოფლო საბჭოების, საარჩევნო უბნების მიხედვით ყველა დეპუტატის, აგრეთვე კომუნისტებისა და კომკავშვილების პასუხისმგებლობას.

ამ ღონისძიებებს ნამდვილად სჭირდება იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ვინ უნდა განუმარტოს მოსახლეობას სასურსათო პროგრამის არსი და პოლიტიკა უფრო გასაგებად, ენაწყლიანად, პატრიოტიზმისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, თუ არა აგიტატორმა, პოლიტინფორმატორმა, ლექტორმა, პროპაგანდისტმა. და არა მარტო განუმარტოს, მხარში ამოუდგეს, პირადი მაგალითი უჩვენოს, ორგანიზატორის როლიც იკისროს.

კითხვა: ჩვენი საუბრის დასაწყისში ახსენეთ საშემსრულებლო დისციპლინა. როგორ დგას იგი და, საერთოდ, შრომის დისციპლინა რაიონში?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და წლეკვანდელმა ივნისის პლენუმებმა, ხოლო შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დააყენეს და ეშმარიტებაა, რომ მხოლოდ დისციპლინა და წესრიგი, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა არის ყველა წარმატების საწინდარი. ამას ჩვენ მკაცრად მოვითხოვთ როგორც საკუთრი თავის, ისე ხელქვეითებისაგან. ზოგიერთის პრაქტიკაში დამკვიდრდა ტენდენცია, როცა მას დავალებას აძლევ, გიპასუხოს: ვიყავი ადგილზე, ვნახე, ვუთხარი, გავაფრთხილე და ა. შ. საქმეს შედეგი არ მოჰყოლია.

რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის შემოვიღეთ აღრიცხვის ასეთი ჟურნალი. რა დავალებით, როდის იყო ესა თუ ის, ამხანაგი მეურნეობაში, ორგანიზაციაში, რა ღონისძიებები დასახა, ბოლო გრაფაში კი აღინიშნება, რა შედეგი გამოიღო ამან. ისე რომ, ჩვენ მოვითხოვთ და გავაკონტროლებთ მას არა მხოლოდ იმის მიხედვით, იყო თუ არა ორგანიზაციაში, არამედ რა შედეგი გამოიღო, რა ეშველა საქმეს. საერთო და კონკრეტული პარტიული დავალებები, მისი შესრულება აღინიშნება სპეციალურ დაფაზე, რომელიც მოწყობილია ყველა კომუნისტურ ინსტიტუტში.

ამ ჟურნალებიდან ნამდვილად სჭირდება იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ვინ უნდა განუმარტოს მოსახლეობას სასურსათო პროგრამის არსი და პოლიტიკა უფრო გასაგებად, ენაწყლიანად, პატრიოტიზმისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, თუ არა აგიტატორმა, პოლიტინფორმატორმა, ლექტორმა, პროპაგანდისტმა. და არა მარტო განუმარტოს, მხარში ამოუდგეს, პირადი მაგალითი უჩვენოს, ორგანიზატორის როლიც იკისროს.

კითხვა: ჩვენი საუბრის დასაწყისში ახსენეთ საშემსრულებლო დისციპლინა. როგორ დგას იგი და, საერთოდ, შრომის დისციპლინა რაიონში?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და წლეკვანდელმა ივნისის პლენუმებმა, ხოლო შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმებმა, ამ საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დააყენეს და ეშმარიტებაა, რომ მხოლოდ დისციპლინა და წესრიგი, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა არის ყველა წარმატების საწინდარი. ამას ჩვენ მკაცრად მოვითხოვთ როგორც საკუთრი თავის, ისე. ხელქვეითებისაგან. ზოგიერთის პრაქტიკაში დამკვიდრდა ტენდენცია, როცა მას დავალებას აძლევ, გიპასუხოს: ვიყავი ადგილზე, ვნახე, ვუთხარი, გავაფრთხილე და ა. შ. საქმეს შედეგი არ მოჰყოლია.

რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის შემოვიღეთ აღრიცხვის ასეთი ჟურნალი. რა დავალებით, როდის იყო ესა თუ ის, ამხანაგი მეურნეობაში, ორგანიზაციაში, რა ღონისძიებები დასახა, ბოლო გრაფაში კი აღინიშნება, რა შედეგი გამოიღო ამან. ისე რომ, ჩვენ მოვითხოვთ და გავაკონტროლებთ მას არა მხოლოდ იმის მიხედვით, იყო თუ არა ორგანიზაციაში, არამედ რა შედეგი გამოიღო, რა ეშველა საქმეს. საერთო და კონკრეტული პარტიული დავალებები, მისი შესრულება აღინიშნება სპეციალურ დაფაზე, რომელიც მოწყობილია ყველა კომუნისტურ ინსტიტუტში.

კონკრეტულობა იდეოლოგიურ მუშაობაში

როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის პარტიის წითელწყაროს რაიკომის მუშაობის შესახებ“

ბში რომ არის წითელწყაროს რაიონში.

კითხვა: რა დაედო საფუძვლად დადგენილების განხორციელებას, ანუ როგორია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში ნაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტიის წითელწყაროს რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ აქტივს არა აქვს რაიონის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ზუსტი პროგრამა, საკმაოდ ღრმად ვერ სწვდებიან შრომითი კოლექტივების სოციალური და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, რეზერვების ძიებისა და გამოყენების პრობლემებს, არ განუსაზღვრავთ ადგილი ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში.

ასეთი ერთიანი, კომპლექსური, პერსპექტიული გეგმის შესადგენად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით დიდი მუშაობაა გაწეული. გეგმა დამტკიცდა რაიკომის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განხილვას. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე, ამ გეგმით მუშაობენ ახლა როგორც პარტიის რაიკომი, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციები. გეგმაში კონკრეტულად არის განსაზღვრული თითოეული პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტის როლი, ამოცანა და მოქმედების ადგილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან, ხოლო შემდგომ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პლენუმის დადგენილებებიდან ჯერ კიდევ ყველამ ერთნაირი დასკვნები რომ ვერ გამოიტანა, ამას ადასტურებს სამეურნეო შედეგები.

კითხვა: სიტყვამაც მოგტანა და, როგორია სამეურნეო შედეგები საერთოდ ხუთწლედში და მიმდინარე წელს?

მოგეხსენებთ, მარცვლეული წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. ხუთწლედის განვლილ პერიოდში მისი წარმოება 350 ათას ტონამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბეღლში მიტანილია 150 ათასი ტონა, რითაც საგეგმო დავალებანი შესრულდა. წლეულს დაგეგმილი 21.700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 25.000 ტონა. განუზორციელებელი პრობლემები დარჩა ხორცის, რძის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში, თუმცა ეს დავალებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულდა.

ვფიქრობთ, კარგი საფუძველი ჩაეუყარეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, პირუტყვის გამოზამთრებას, რისთვისაც

დიალოგი წარმოების ხელმძღვანელებთან

ნორიოს მეფრინველეობის საბაზისო საცდელ-საჩვენებელი ფაბრიკის დირექტორის მისაღების კარი იმ იმედით შევაღეთ, რომ ტექნიკური მდივანს ვკითხავდით: „დირექტორი არის?...“ მაგრამ საუბელი სიტყვები ტუჩებზე შეგვეყინა, რადგან მოულოდნელად პირდაპირ დირექტორთან აღმოვჩენდით. ამიტომ წინასწარ დაგეგმილი შეკითხვა დაგვავიწყდა და მეტი მდივანს მისალმებისთანავე ბუნებრივად ვკითხეთ:

— პატივცემულო მერი, ეტყობა, ტექნიკური მდივნის შტატი გაგიუქმებიათ?

— არა, მთლად ასე არ არის. ის სულ სხვაგან, სხვა ოთახში ზის.

— რატომ?

— ჩემი აზრით, ეს უბრალო საქმე არ არის. ტექნიკურ მდივანს შეუძლია მთელი საწარმოს მშრომელები, ნებსით თუ უნებლიეთ, დაგიპირისპიროს და ზოგიერთი კერკეტა კაცი (რომელსაც ზშირად შავი თუთრად ეჩვენება, ასეთები კი არცთუ ისე ცოტაა.) გადაგიდოს კიდეც, ამიტომ გადავწყვიტე, კაბინეტის წინ ტექნიკური მდივანი არ მჯდარიყო. რა მჭირს მოსარიდებელი — თუ თავისუფალი ვარ, ვისაც უნდა შემოვიდეს. ჩვენთან, ფაბრიკაში. ყველამ კარგად იცის, რომ, დირექტორთან შესვლა ყოველთვის შეიძლება. მათ ისიც კარგად იცან, რომ, როცა ვისმესთან ვსაუბრობ და საქმით ვარ დაკავებული, არ შემაწუხონ.

— საქართველოში ბევრმა კარგად იცის, რომ ნორიოს ფაბრიკა ერთ-ერთი გამართული დიდი საწარმოა; რომ წელს რვა თვეში საგეგმო 322 ათასის ნაცვლად, 601 ათასი ფრთა ქათამი გაყავთ; რომ 2 მილიონ 388 ათასის მაგივრად 2 მილიონ 715 ათასი ცალი კვერცხი აწარმოვეთ და ჩვენმა მშრომელებმა 2 მილიონ 616 ათასი ცალი მაღალხარისხოვანი კვერცხი და 444 ტონის ნაცვლად 614 ტონა ხორცი მიიღეს; რომ 50 ათასი მანეთის ნაყოფიერად ხომ არ მოქმედებს საწარმოზე?

— პირიქით, გამოცდილება სიმდიდრეა. თუ მას ახლავს ინიციატივა, შემოქმედებითი ფიქრი და ყოველდღიური ზრუნვა წარმოებაზე, პერსპექტივაზე, ხედავ შედეგს, სტაბილური ხელმძღვანელი ჯობია. რაც შეეხება სპეციალისტებსა და ქვედა რგოლის ხელმძღვანელებთან ურთიერთობას, აქ განახლება რეგულარულად უნდა ხდებოდეს, დირექტორს არაფერი არ უნდა გამორჩეს და გამოეპაროს. ყველას დამსახურებისამებრ უნდა მიუზღას — დასაწინაურებელი დააწინაუროს, უვარგისი, უდისციპლინო და უქნარა წარმოებას მოაშოროს, რიგითს მშრომელებთან დირექტორს უჯერულად კარგი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. ჩემი ამდენი ხნის მუშაობით კარგად ვიცი თითოეული ოჯახის ავ-კარგი, ყოველი მშრომელის ხასიათი, რაც მუშაობაში ძალზე მეხმარება.

— კონკრეტულად, რას გულისხმობთ შემოქმედებითს შრომაში?

— თვითონ დირექტორი უნდა იყოს მოუსვენარი, მოაზროვნე და მზრუნველი. ჩვენს ფაბრიკაში დღევანდელობისათვის დანადგარები ფიზიკურადაც და მორალურადაც მოძველდა. ის კი არადა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აშენებული საცხოვრებელი სახლებიც კი დასანგრევია და ახალი გვაქვს ასაშენებელი. (ხმ ხედავთ, არცთუ ისე ძველს ვანგრევთ, ახალს ვაშენებთ). გინდა, დამიჯერეთ, გინდა არა, ღამეც კი ამაზე ვფიქრობ, რომ ფაბრიკაში ისეთი დანადგარები დავამონტაჟოთ, ისეთი სახლები ავაშენოთ, რომ ასე მოკლე დროში დასაწუნებელი არ გაგვიხდეს. კვეხნად ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ისეთი საცხოვრებელი სახლები უნდა ავაშენოთ, ბინები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ბინალისელებს შეშურდეთ. როგორც ხედავთ, სკოლაც კარგი გვაქვს, ბაგა-ბაღიც, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებიც და სავაჭრო ცენტრებიც, საექიმო უბანიც, მაგრამ პოეტის არ იყოს, ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი გვინდა. თუ ჩვენს ფაბრიკას ახალგაზრდები არ გაურბიან (პირიქით, მოძალებაა), ეს იმის შედეგია, რომ მათ ყოველმხრივ ვეხმარებით, ყოველგვარ პირობებს ვუქმნით.

ადმინისტრაციული სახლი ახალი აშენდება, ძველი კი ქორწინები სახლად გადაკეთდება, ახლანდელ ბაგა-ბაღში, სადაც იდეალური პირობებია, მუშათა პროფილაქტორიუმს მოვაწყობთ...

— როგორა ბრძანეთ, ქალები ზოგჯერ აგვიანებდნენ, თბილისში საპარიკმახეროში დადიოდნენო?..

— ჰო, ფაბრიკის დასახლებაში ქალთა სალონიც მოვაწყვეთ და ამით ამ საქმესაც მოვუარეთ. საერთოდ მშრომელებს, მათ შორის ქალებს, ყოველმხრივ თუ არ შევუწყვეთ ხელი, ისე დისციპლინის დაცვა გაძნელდება. ერთმანეთ, ერთ-ერთ, მკაცრად დასჯა ძნელია. — მხოგრამ არასასურველია. ... ... ერთი საზომით ვერ მიუდგებით. მატერიალური და მორალური წახალისება უფრო მეტად მოქმედებს კაცზე, ვიდრე დასჯა. უბრალო დეტალი: ჩვენი ფაბრიკიდან უამრავმა ქალმა დაიმსახურა პენსია და ახლა ბევრი თბილისში ცხოვრობს. ჩვენ მათ ყოველთვის რვა მარტს ვუსლოცავთ და კარგ საჩუქარსაც ვუგზავნით. მათ ახლაც არ გაუწყვეტიათ კავშირი ჩვენთან.

— ზოგი დირექტორი ერთ თანამშრომელს ამოიჩემებს, მეორეს კი პრივილეგიას ანიჭებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია ასეთი რამ და თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?

საზოგადოებრივი საქმიანობისთვის არც ვინმეს აჩემება გამოდგება და არც პრივილეგიის მინიჭება. ერთიცა და მეორეც საზოგადოებრივი მეურნეობისათვის საზიანოა. ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს, რომ ყველასათვის ინდივიდუალური საზომი, ასე ვთქვათ, თარგი გამოძებნოს, თუ არა ვინმესთვის დაუმსახურებლად პრივილეგიის მინიჭება, სხვებს გულს გაუტეხს და საზოგადოებრივი საქმისათვის კარგი არ იქნება. ჩვენთან შვიდი ბრიგადაა. მათ შორის ორ ბრიგადალეს თოდუას და თამაზ ტოკლიკიშვილს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გამორჩეულნი არ მყავს. მათ პრემია დამსახურებულად მიიღეს, მაგრამ, არ ვაგრძნობინებთ (არც თითონ ლაურეატები იქცევიან გამორჩეულად), რომ ისინი სხვებზე მეტის ღირსი არიან. სამუშაო პირობები ყველა ბრიგადას ერთნაირი აქვს, ამიტომაა, რომ ყველა მოწინავეა.

—და ბოლოს: თქვენ დირექტორი ხართ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის გორდაბნის რაიკომის ბიუროს წევრი, რესპუბლიკის პარლამენტის ქალთა კომისიის თავმჯდომარე, მეფრინველეობის მსოფლიო ასოციაციის წევრი, ოჯახში სამი ვაჟკაციც გყავთ მოსავლელი...

— გასაგებია. თქვენ გინდათ მითხრათ, როგორ ვასწრებ ამდენ რამეს? ორიოდე სიტყვით გეტყვით, რომ შემუშავებული მაქვს დღის მკაცრი რეჟიმი. ამიტომ ოჯახის წევრები ჯერჯერობით არ მემდურიან.

ვ. მინდელი.

სურათზე: მარცხნიდან ბრიგადირი გ. ხირაძე, მთავარი ზოოტექნიკოსი თ. აბულაძე, ფაბრიკის დირექტორი მ. მდივანი, ბრიგადირი ნ. ლოლაძე და პარტორგანიზაციის მდივანი თ. კვანტალიანი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მკაცრი დღის რეჟიმით

ვაჭრობა, ორგანიზაცია, პრობლემები

„ქიგული“ — არ იყიდება?!..

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: დეფიციტური „ყიგული“ არ იყიდება. თბილისში „ავტოვაზტექმომსახურების“ რესპუბლიკური ცენტრის მოედანზე მეორე კვარტალიდან ახლე მეტი ავტომობილი დაგროვდა. ამ პარადოქსის განმარტება ვთხოვეთ ცენტრის დირექტორს გ. ხახარაძეს.

— თქვა, „ყიგულზე“ მოთხოვნა აღარ არისო, სწორი არ იქნება, — გვითხრა მან. — წლის დამდეგიდან მარტო თბილისში გაიყიდა 5400-ზე მეტი ავტომობილი. მეტი რომ გექონოდა, მეტსაც გავყიდდით.

— მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს ავტომობილების „ჩასაჭონლების“ მიზეზები, არა?

— ძირითადად ორი მიზეზია — მოდელი და ფერი მყიდველს ყოველთვის ხელს როდი აძლევს მაღაზიის მიერ შეთავაზებული ასორტიმენტი...

— მაგრამ, დამეთანხმეთ, მას აქვს არჩევის უფლება, ავტომობილი ფუფუნება არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ ძვირად ღირებული შენაძენია.

— სავსებით სწორია, და ჩვენთვისაც სრულიად ბუნებრივია მყიდველთან სურვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დაკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს ობიექტური რეალობა.

ჩვენს რესპუბლიკაში უმეტესად პოპულარულია თეთრი ან ჩალისფერი მოდელი „2106“. მოთხოვნა ჯერჯერობით მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენი რესპუბლიკისთვის გამოყოფილ ფონდებს.

რაც შეეხება მოდიფიკაციებს. ავიღოთ, მაგალითად, იგივე „2106“ მოდელი. იგი, როგორც ცნობილია, გამოდის სამ ვარიანტად — 1300, 1500, 1600 კუბური სანტიმეტრი მოცულობის ძრავით. გასაგებია, რომ თითოეულს სურს მიიღოს „მშობლიურძრავიანი“ „1600“ მოდელი.

მაგრამ, წლიური განწესით რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ამ მოდელის 7.237 ავტომობილიდან მხოლოდ ხუთი პროცენტია აღუურვილი ასეთი მოტორით. სწორედ ამ მოდიფიკაციის მიღებას ესწრაფვის თითოეული მყიდველი, თანაც — რადაც უნდა დაუჯდეს. გამოვიანგარიშე, რომ შვიდი ათასზე მეტი მანქანიდან ყოველი მეორის გამო ჩემთან მოდიან ვიზიტად, ან მირეკავენ — ზოგჯერ მეტად გავლენიანი პირები. ამგვარი მდგომარეობა ავტომობილების ვაჭრობის გამო არაჯანსაღი აჟიოტაჟის წარმოშობას უწყობს ხელს, გარდა ამისა, ასეთ პირობებში — მინდა სწორად გამიგოთ — შეუძლებელია მუშაობა. ავტომობილების გაყიდვის დღეებში ჩემი კაბინეტი ალყაშემორტყმულ ციხე სიმაგრეს მოგაგონებთ.

— წესებით დადგენილია ავტომობილის მიღების ერთთვიანი ვადა. რა მოხდება, თუ იგი დაირღვა?

— მაშინ ჩვენ ვიყენებთ სანქციებს. მყიდველი, რომელიც გადაიცილებს მანქანის მიღების დროს, კარგავს მისი შეძენის უფლებას. წელს რესპუბლიკაში ოცდაათი ასეთი შემთხვევა იყო. მყიდველს ვუბრუნებთ ფულს, ხოლო შეუსყიდავი ავტომობილების შეკვეთებს — ორგანიზაციებს ხელახალი განაწილებისათვის.

— რას გვთავაზობთ ავტომობილების ვაჭრობაში წესრიგის დასამყარებლად?

— რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ ისე უნდა გაანაწილოს ფონდები, რომ უთუოდ აღნიშნოს არამარტო მანქანის მოდელები, არამედ მისი მოდიფიკაციებიც. მაშინ მყიდველი ორგანიზაციაში ავტომობილების განაწილების მომენტში შეძლებს გადაწყვეტოს •ყიდვა-არყიდვის საკითხი. თუ მას მანქანა არ აკმაყოფილებს, მას ოპერატიულად გაუნაწილებენ მის შემდეგ რიგში მდგომს.

შემდეგ. ჩვენი წინადადებაა, შემუშავდეს და დაინერგოს დებულება თვით მაღაზიაში ორი მყიდველის ურთიერთსურვილით ავტომობილის მოდიფიკაციების შეცვლის წესის შესახებ, მათი გაცნობადებანი შეუძლია განიხილოს სპეციალურმა კომისიამ...

და ბოლოს, უკანასკნელი საკითხი, დაინერგოს სპეციალური „ტალონ-უწყებით“ ავტომობილების გაყიდვის სისტემა. რა არის ამ სიახლის არსი? მყიდველები სავსებით საფუძვლიანად ჩიგიან, რომ ავტომობილის გაფორმებისა და შეძენისათვის ბევრი დრო იკარგება. ახლა ჩვენ აღვნიშნავთ მანქანის მიღების მხოლოდ კვარტალს. ზოგიერთი მყიდველი თითქმის სადღეღამისო მორიგეობას აწყობს ავტომაღაზიასთან და ეშინია არ გამორჩეს მანქანების მორიგი პარტიის მიღების დღე.

ახალი სისტემით მყიდველი სპეციალურ „ტალონ-უწყებას“ მიიღებს სამუშაო ადგილს. მასში აღნიშნული იქნება ავტომობილის მოდიფიკაცია და ფასი. იგი შეაღებს მას და შეიტანს ფულს გაერთიანების ანგარიშწორების ანგარიშზე, და შეუძლია ფოსტით გამოგვგზავნოს ტალონის მოსაზვი ნაწილი. ამავე გზით მყიდველს შეავატყობინებთ, რომელ დღეს და რომელ საათზე უნდა გამოცხადდეს მაღაზიაში ავტომობილის მისაღებად. ამრიგად, ყიდვის იგი იმდენ დროს მოახმარს, რამდენიც დასჭირდება მაღაზიაში მანქანის ამორჩევისათვის.

წესებში გამონაკლისი არ უნდა იყოს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგის ა. კაპანაძის კომენტარი

ავტოცენტრში შექმნილი სიტუაცია, ჩემი აზრით, შემაშფოთებელია ორი მიზეზით: ჯერ ერთი, იგი მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს, მეორე კი იწვევს საზოგადოებრივი აზრის ნეგატიურ რეაქციას. აი, რატომ არის საჭირო ბოლომდე ვთქვათ სათქმელი.

ჯერ, მოდით, უბრალოდ გამოვიანგარიშოთ: ასი ჩაწოლილი „ყიგული“ — ეს არის თითქმის მილიონი მანეთი, რომელიც როგორც მეორე კვარტალში იყო დაგეგმილი, ვერ მიიღო სახელმწიფო სალარომ. ამასობაში კი ამ თანხის გათვალისწინებითაც წარმოეს გაანგარიშება ხელფასისა და სხვა გადასახდელების გაცემისას. მეორე მხრივ, ამგვარი მდგომარეობა ძვირი უჯდება თვით ავტოცენტრს. შარშან მან ბანკს გადაუხადა 1,2 მილიონ მანეთზე მეტი საჯ

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა

მადრიდი, 8 სექტემბერი. (საქინფორმი). ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მადრიდის შეხვედრის ბოლო ეტაპზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ თქვა:

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეო! მალე მუშაობას დაამთავრებს მადრიდის შეხვედრა. მისი მნიშვნელოვანი შედეგები ასახულია შემაჯამებელ დოკუმენტში.

ამ დოკუმენტს შეწონასწორებულ და შინაარსიან დოკუმენტად მივიჩნევთ. იგი მტკიცედ ეყრდნობა ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპებსა და დებულებებს.

დოკუმენტის დებულებები ითვალისწინებს სრულიად სხვადასხვა დარგში შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის, ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად მათი მეცადინეობისათვის შესაძლებლობათა დიაპაზონის გაფართოებას.

იწონებს რა ამ დოკუმენტს, საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ თავის მხრივ თანამიმდევრულად განახორციელებს მიღწეულ მორიგებებს. რა თქმა უნდა, ამასვე ველით სხვა მონაწილეებისგანაც.

მადრიდის შეხვედრის დადებითი შედეგია საერთაშორისო საქმეებში იმ კურსის შესამჩნევი მიღწევა, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობისა და ურთიერთგაგების, მოლაპარაკების გზით პრობლემების მოწესრიგებას.

„ჯანსაღი, იმედისმომცემი ნიშანი“ უწოდა ი. ვ. ანდროპოვმა არჩევანს, რომელიც მადრიდში მოახდინეს ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა გამონახვისათვის. საქირო არ არის ჩამოვთვალოთ ყველა პერიპეტია, რომლებიც განიცადა მადრიდის შეხვედრამ თავისი მუშაობის მანძილზე.

მთავარია ის, რომ მისმა მონაწილეებმა დაძლიეს უთანხმოება და შეძლეს მორიგებათა მიღწევა. გაიმარჯვა იმის გაგებამ, რომ ჰელსინკში დასახული გზიდან გადახვევის ყველა ცდა კონფრონტაციის ჩიხში გვაქცევს. მადრიდის შეხვედრის შედეგებს საფუძველზე შეიძლება ერთი დასკვნის გამოტანა: ამ გზას კვლავაც მტკიცედ უნდა ვადგეთ.

ეს მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, პატივისცემის, მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, მათი საზღვრების ურღვევობის პრინციპების — ერთი სიტყვით, ყველა იმ ცნობილი პრინციპის განხილულ დაცვას, რომლებთაც უნდა იხელმძღვანელონ საერთაშორისო საქმეებში ამ წარმოდგენილმა ქვეყნებმა საბოლოო აქტით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე.

და ამის ხელშემწყობი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება ის, რომ, როგორც შეხვედრის საბოლოო დოკუმენტით არის გათვალისწინებული, აღნიშნული პრინციპები ასისთის ყოველ ქვეყნის კანონმდებლობაში — იმ წესით, რომელიც შეესაბამება მის პრაქტიკასა და პროცედურებს. საბჭოთა კავშირი ახლაც, ისევე როგორც წინათ, ერთგულია ამ პრინციპებისა. ისინი ასახულია ჩვენს კონსტიტუციაში — საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში.

ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად უჭერს მხარს იმას, რომ იდეოლოგიური უთანხმოება არ ვრცელდებოდეს სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. სამწუხაროდ, ასეთ პრაქტიკას მიმართავენ, უკანასკნელ ხანს კი განსაკუთრებით ფართოდ.

ასეთი რამ მადრიდის შეხვედრაზეც მომხდარა, როცა დასავლეთის გარკვეული ქვეყნების წარმომადგენლები ადგებოდნენ „ფსიქოლოგიური ომის“ ბილიკს — სხვას ვერაფერს ვუწოდებთ ცდებს გადაეცვალათ შეხვედრა კონფრონტაციის, და არა მოლაპარაკების ფორუმად. და, რასაკვირველია, ასეთ მომენტებში საქმე რთულდებოდა, საფრთხე ექმნებოდა შეხვედრას და მთლიანად სრულიად ევროპის პროცესის განგრძობის შესაძლებლობას.

მადრიდის შეხვედრის მიმდინარეობამ და შედეგებმა კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ უპირსპირეგოვა (ცდები ზეგავლენა მოახდინონ სოციალისტურ ქვეყნებზე, ჩაერიონ მათს საშინაო საქმეებში.

და პირიქით: მადრიდში შეძენილი გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლიტიკაში მთელი განსხვავებისა და საერთაშორისო საქმეთა ახლანდელი მდგომარეობის მიზეზების შეფასებაში მთელი უთანხმოების, ევროპასა და მსოფლიოში თანამედროვე ვითარების მთელი დაძაბულობის მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შეუძლიათ ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევა. თანაც ისეთ მორიგებათა, რომლებსაც სარგებლობა მოაქვთ ყველა ხალხისათვის, ხელს უწყობენ ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის ჰორიზონტების გაფართოებას. და ეს დასკვნა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ახლაც და მომავალშიც.

მადრიდის შეხვედრის ბოლო სტადიაში საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობა ხაზს უსვამს არა მარტო მიღწეული შედეგების პოლიტიკურ მნიშვნელობას, არამედ ახლანდელი მომენტის პასუხისმგებლობასაც.

მადრიდის შეხვედრის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის რეზერვები სულაც არ არის ამოწურული. მადრიდში შეთანხმებულმა კონკრეტულმა ღონისძიებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მის დინამიკურ განგრძობასა და განვითარებას.

ეს არის უწინარეს ყოვლისა ევროპაში ნდობისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ კონფერენციის მოწყობა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში. ეს არის აგრეთვე გადაწყვეტილება სათანადოდ აღინიშნოს საბოლოო აქტის ხელმოწერის 10 წლისთავი, 1986 წელს ვენაში სრულიად ევროპის ახალი შეხვედრა და საბუთაო დონეებზე მთელი რიგი სხვა თათბირებისა და ფორუმების მოწყობა.

მხოლოდ მისასალმებელია მადრიდში შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დადასტურებული განზრახვა კვლავაც იმოქმედონ, რათა შეამცირონ ან თანდათან აღმოფხვრან ყოველგვარი დაბრკოლება ვაჭრობის განვითარების გზაზე, გაიფართოონ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობა.

საბოლოო აქტით განსაზღვრულ პრინციპულ საფუძველზე დასახულია აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც ეხება კულტურისა და განათლების დარგში გაცვლას, ინფორმაციის გავრცელებას, ადამიანების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კონტაქტებს, ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტას.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მადრიდის შეხვედრის წარმატება იქნება იმის მაგალითი, რომ ინტერესების ურთიერთგათვალისწინების, კეთილი ნების გამოვლინის საფუძველზე შეიძლება გავხსნათ რთული პოლიტიკური კვანძები.

მაგრამ ის, რაზეც მადრიდში შევთანხმდით, შემოფარგლული როდია ყრუ კედლით მსოფლიოსა და ევროპის სხვა მოვლენებისაგან. და უწინარეს ყოვლისა ეს, რა თქმა უნდა, არის ამერიკის ახალი რაკეტების დაგეგმილი განლაგება ნატოს წევრ მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში.

რა არის ახლა ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების უზრველყოფის პრობლემის არსი?

ყველაზე მოკლედ იგი შეიძლება ასე გამოვხატოთ: ეს არის ევროპაში და გლობალური მასშტაბით შექმნილი დაახლოებითი სამხედრო-ტექნიკური წონასწორობის უზრუნველყოფა ვარშავის ხელშეკრულებასა და ნატოს შორის.

უკანასკნელი აოწლეულების მანძილზე ასეთი წონასწორობა ობიექტურად უწყობს ხელს მშვიდობის შენარჩუნებას. ანგარიშს არ უწევდე რეალობას, ესწრაფოდე სამხედრო უპირატესობას მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით იწვევს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, ბირთვული კატასტროფის საფრთხის ზრდას.

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი თვითონ არ ესწრაფვიან სამხედრო უპირატესობას, მაგრამ სხვებსაც არ მისცემენ უფლებას დაარღვიონ არსებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი.

ამავე დროს საბჭოთა კავშირი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები სრულიადაც არ ცვლიან თავიანთ პრინციპულ მიდგომას: არც ერთი ხელიდან გაშვებული შანსი, არც ერთი გამოუყენებელი შესაძლებლობა, როცა საქმე ეხება იმას, რომ უკან დაგზიოთ, თავიდან ავაცილოთ ევროპას და მთლიანად მსოფლიოს კატასტროფის საშიშროება. ჩვენ კვლავ და კვლავ ვაცხადებთ, რომ საჭიროა ბირთვული კონფრონტაციის არსებითი შემცირება.

ჯერ კიდევ შეიძლება სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მორიგდნენ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე. აქ აღარ გავიმეორებ ამ მოლაპარაკების დროს წამოყენებულ კარგად ცნობილ საბჭოთა წინადადებებს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გავუსვა ხაზი ახლახან ი. ვ. ანდროპოვის მიერ გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე პასუხში ჩამოყალიბებულ პოზიციას, რომელმაც მსოფლიოში ფართო რეზონანსი გამოიწვია.

იმედი გვაქვს, რომ ვაშინგტონში საღად შეაფასებენ სიტუაციას. მიუღებელია ცალმხრივი მიდგომა მოლაპარაკებისადმი, რომელიც ეხება სახელმწიფოთა უშიშროების ინტერესებს, იმ მისწრაფებაზე დაფუძნებული ვარაუდი, რომ მიაღწიო პარტნიორის ცალმხრივ განიარაღებას. ამის შეგნება ბევრად შეუწყობდა ხელს კონსტრუქციულ რელსებზე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების გადაყვანასაც.

კვლავაც მთლიანად ინარჩუნებს აქტუალურობას საბჭოთა კავშირის მოწოდება დაუყოვნებლივ გაიყინოს ბირთვული სახელმწიფოების, და უწინარეს ყოვლისა — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული არსენალები. ეს შექმნიდა უფრო ხელშემწყობ წანამძღვრებს, რათა შემოვბრუნდეთ მსოფლიოში პოლიტიკური ატმოსფეროს რადიკალური გაჯანსაღებისაკენ, იქნებოდა საწყისი პუნქტი ბირთვული შეიარაღების ზრდის შეწყვეტისათვის, მისი შემდგომი შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით — სრული ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. როგორ ამაღლებდნდა იმ სახელმწიფოთა ნდობის დონე, რომლებსაც ასეთი იარაღი აქვთ, თუ ისინი, ვისაც ეს არ განუცხადებია, იკისრებდნენ ანალოგიურ ვალდებულებას.

უკანასკნელ ხანს დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ თემაზე იმის შესახებ, რომ საჭიროა გამტკიცდეს ურთიერთნდობა. მსჯელობით კი მსჯელობენ, მაგრამ თავიანთ სამხედრო პოლიტიკას საფუძვლად უდებენ დოქტრინებს, რომლებიც სრულიადაც არ გამორიცხავენ პირველი ბირთვული დარტყმის შესაძლებლობას.

საყოველთაოდ უნდა დავგმოთ ამგვარი დოქტრინები, ნებისმიერი კონცეფციები, რომელთა არსი ის არის, რომ დასაშვებია პირველმა გამოიყენო ბირთვული იარაღი, გაარღვიო ბირთვული ომი, კერძოდ, თითქოსდა „შეზღუდული“, ესე იგი ევროპაში. უპირობოდ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ თვით ბირთვული ომიც, როგორც უმძიმესი იმ დანაშაულობათაგან, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს კაცობრიობის წინააღმდეგ.

მშვიდობას რეალურ საფრთხეს უქმნის კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია. ამ საშიშროების თავიდან აცილებას შეესაბამება ახალი საბჭოთა ინიციატივის — „მზე წინადადების განხორციელება, რომ დაიდოს ხელშეკრულება კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა ჩრდილოეთატლანტიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს შესთავაზეს დადონ ხელშეკრულება სამხედრო ძალის ურთიერთგადაუყენებლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის შესახებ, ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობა შეეძლება ევროპის ყველა სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. განა ეს არ იქნებოდა ნდობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ამ სიტყვის უფართოესი გაგებით? განა ეს არ შეესაბამება საბოლოო აქტის მიზნებს? ეს წინადადება სულ უფრო მკაფიოდ დგება საევროპო და მსოფლიო პოლიტიკის წინა პლანზე.

დიდი ხანია მომწიფდა საკითხი, რომ წინ წაწიოთ ცენტრალური ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებაზე შეთანხმების მიღწევის საქმე. ამის შესაძლებლობას იძლევა სოციალისტური ქვეყნების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა კანონიერი ინტერესები. ვენაში წარმატება დამოკიდებულია იმაზე, გამოიჩენენ თუ არა დასავლელი პარტნიორები სურვილს მოგვრიგდნენ რეალისტურ და ურთიერთმისაღებ საფუძველზე.

ჩვენი მხრივ მზად ვართ შევთანხმდეთ შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების სხვა გადაწყვეტ საკითხებზეც.

ყველა ეს პრობლემა და ამოცანა უშუალოდ ეხება სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, მისი სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობის, საზოგადებრივი წყობილების, აგრეთვე იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ბირთვული იარაღი, შედის თუ არა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებაში, მიუმხრობელია თუ ნეიტრალური.

საბოლოო აქტშიც სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „ისინი ყველა დაინტერესებულია მეცადინეობით, რომლის მიზანია სამხედრო კონფრონტაციის შემცირება და განიარაღებისათვის ხელშეწყობა“, რომ „საჭიროა ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება ამ დარგში“. სიტყვით კი არა, საქმით შეუწყონ ხელი ევროპაში დაძაბულობის შენელებას, უშიშროების გაძლიერებასა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას — ეს არის აქ წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს მოვალეობა.

მადრიდის შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, საყოველთაო აღიარებით, მორიგებას ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ კონფერენციის მოწვევის თაობაზე. ამ კონფერენციის მოწყობას, კერძოდ, მის მოსაამზადებელ შეხვედრას, რომელიც ოქტომბერში გაიხსნება ჰელსინკში, უნდა მივუდგეთ მთელი იმ დიდი პასუხისმგებლობით, რომელსაც იგი მოითხოვს.

ამ კონფერენციის მიზანი გამოკვეთილია. მისი პირველი ეტაპი მიეძღვნება ნდობისა და უშიშროების განმტკიცების იმ ღონისძიებათა განხილვასა და მიღებას, რომლებიც მოიცავს მთელ ევროპასა და მის მიმდებარე ზღვისა და ოკეანის რაიონებს ისევე, როგორც მათს საპაერო სივრცეს. ჰელსინკის აქტის შესაბამისად უკვე განხორციელებულმა ნდობის ღონისძიებებმა დაამტკიცეს თავიანთი სარგებლიანობა. ახლა უნდა შევიმუშაოთ ამ დარგში ღონისძიებანი, რომლებიც შეამცირებს ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის საფრთხეს.

კონფერენციის მუშაობა თავიდანვე უნდა წარიმართოს საქმიანად, შეიერწყას მეცადინეობას, რომლის მიზანია დაბრკოლება შეუქმნას გამალებულ შეიარაღებას ევროპის კონტინენტზე. მისი წარმატების უზრუნველსაყოფად წელი უნდა შეიტანოს ყველა მონაწილე სახელმწიფომ.

საბჭოთა კავშირი იყო და კვლავ არის ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და დაცვის მტკიცე ქომაგი. ხალხების თავისუფლებისათვის, ადამიანის, და უწინარეს ყოვლისა მშრომელი ადამიანის უფლებების გულისათვის მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ვამაყობთ, რომ მსოფლიოში პირველმა სწორედ ჩვენმა ქვეყანამ დაამკვიდრა თავის მიწაწყალზე ადამიანთა ჭეშმარიტი თანასწორება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ნამდვილად გარანტირებული, და არა მარტო გამოცხადებული უფლებები.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა ისტორიაში არნახული გმირობა და გაიღო უაღრესად დიდი მსხვერპლი, რათა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და უფლებები, რათა ეხსნა კაცობრიობა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან, უუფლებობისა და ჩაგვრის ყველიდანისაგან. ევროპის, მთელი მსოფლიოს ხალხებმა იციან ეს და არასოდეს დაივიწყებენ ამას.

თანამედროვე ეტაპზე აწყვეტთ დიდსა და რთულ ამოცანებს ჩვენი საზოგადოების სრულყოფის პროცესში, ამასთან ვაფართოებთ და ვაღრმავებთ სოციალისტურ დემოკრატიას, მთელი სისრულით უზრუნველვყოფთ ჩვენი მოქალაქეებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საბჭოთა ადამიანების კანონიერ აღფოთოვას იწვევს ცილისწამება მათი ცხოვრების წესის, სოციალისტური წყობილების! მიმართ. ისინი უკუაგდებენ არამკითხეთა ჭკუის სწავლებას, თუ როგორ წარმართონ თავიანთი საქმეები, როგორი წესები დაამყარონ საკუთარ სახლში.

არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესიდა, არც საბოლოო აქტი, არც რომელიმე სხვა აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტი არ იძლევა და ვერც მისცემს უფლებას ვინმეს ასრულებდეს ვოღაც მოსამართლის როლს ამ საკითხებში. ვინც მზად არის ითანამშრომლოს ჩვენთან შესაბამის საკითხებში ნამდვილად ჰუმანურ და პატიოსან საფუძველზე, ჩვენი სახით, ისევე როგორც წინათ, გულისხმიერ პარტნიორს ჰპოვებს.

ხოლო თუ ეცდებიან ხელყონ ჩვენი ზნეობრივი, სოციალური და სამოქალაქო ღირებულებანი, თუ სოციალიზმისადმი ბერობით განზრახვა გაამწვავებენ დაძაბულობას მსოფლიოში, ამგვარ მოქმედებას, ისევე როგორც წინათ, საკადრის პასუხს გავცემთ.

ამ ტრიბუნადან გამოთქვამენ სხვადასხვა აზრს სამხრეთ კორეის თვითმფრინავთან დაკავშირებული ინციდენტის გამო. კარგად არის ცნობილი, რომ ამ ინციდენტს ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები შეგნებულად იყენებენ საერთაშორისო ყოთარების გამწვავებისათვის. მათ მიმართეს ცილისწამებას, უსირცხვილო ინსინუაციებს სსრ კავშირის, სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ.

ყოველივე ამას გადაჭრით უარვყოფთ გულისწყრომით. ძირითადი კითხვა, რომელიც გვებადება, ეს არის: აქვს თუ არა ვინმეს უფლება დაუსაბუთებლად არღვევდეს სხვის საზღვრებს, სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტს? არა, არავის არა აქვს ასეთი უფლება. ეს უმნიშვნელოვანესი დებულება დამკვიდრებულია ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო დოკუმენტებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში.

როგორც მთლიანად გამოირკვა, სამხრეთ კორეის თვითმფრინავი ამერიკის ხელისუფლების, მათი შესაბამისი სამსახურების განსაკუთრებულ ანგარიშზე ყოფილა. იგი შემოიჭრა საბჭოთა საჰაერო სივრცეში უდიდეს მანძილზე და იქ დიდხანს იყო, დაფრინავდა ჩვენი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების თავზე.

რატომ და რისთვის აღმოჩნდა იგი იქ? არა და არ სურთ პასუხი გასცენ ამ კანონიერ კითხვას.

ჩვენ უკვე განვმარტეთ ინციდენტის ფაქტობრივი მხარე, მათ შორის გუშინ გამოქვეყნებულ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში. ჩვენც მივეცით შეფასება იმათ დანაშაულებრივ მოქმედებას, ვინც ეს აქცია ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

რადგან დამრღვევი თვითმფრინავი არ დაემორჩილა მთხოვნებს დამჯდარიყო საბჭოთა აეროდრომზე და მიმალვას ლამობდა, საჰაერო დაცვის გადამტაცმა ავიაგამანადგურებელმა შეასრულა საკომანდო პუნქტის ბრძანება ფრენის აღკვეთის შესახებ. ასეთი მოქმედება მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონს, რომელიც გამოქვეყნდა. ჩვენ გამოვთქვით წუხილი ადამიანთა დაღუპვის გამო.

ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა ტერიტორია, საბჭოთა კავშირის საზღვრები წმიდათაწმიდაა.

ვინც უნდა მიმართოს ამგვარ პროვოკაციებს, უნდა იცოდეს, რომ მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება ამისათვის.

ამ დანაშაულებრივ ქმედებას ვერ გაამართლებენ ვერც ფაქტების უსინდისო დამახინჯებით, ვერც ადამიანის უფლებებისათვის ზრუნვის ფორმით შენიღბული ყალბი ვერსიებით, რა დონეზეც უნდა ხდებოდეს ეს ვაშინგტონში. ეჭვი არ არის, რომ ისინი, ვისაც ახლა ჯერ კიდევ სჯერა ეს ნაყალბევი, ბოლოსდაბოლოს გაიგებს ამ დიდი პროვოკაციის ნამდვილ მიზნებს, რომელსაც მისი ორგანიზმორები იყენებენ თავიანთი მილიტარისტული პოლიტიკის და ომის ფსიქოზის გაღვივების ინტერესებისათვის.

მშვიდობიანი თანამშრომლობის საქმეში ჩვენს ქვეყანას, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებს კეთილი ნება საკმარისი აქვთ. უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ მადრიდის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტი წარმოდგენს მის მონაწილეთა სხვადასხვა პოზიციის სინთეზს. მის მთელ რიგ დებულებებს საჭიროების შემთხვევაში კომპრომისიანი ხასიათი აქვს. მაგრამ ეს ისეთი კომპრომისია, რომელიც ვინმე სახელმწიფო ინტერესებს კი არ ლახავს, არამედ ყოველივე იმის შედეგია, რაც შესაძლებელი იყო საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც მადრიდის შეხვედრა მიმდინარეობდა.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ სხვა მონაწილეთა, და განსაკუთრებით ნეიტრალურ და მიუმხრობელ სახელმწიფოთა კონსტრუქციულ ღონისძიებებს, რომლებმაც ბევრი იშრომეს საბოლოო დოკუმენტის პროექტის შემუშავებისათვის.

როგორც აქ, მადრიდში, ისე სხვა საერთაშორისო ფორუმებსა და მოლაპარაკებებზე, მსოფლიო პოლიტიკის ყველა მიმართულებით საბჭოთა კავშირი აქტიურად მოქმედებს იმის სასარგებლოდ, რომ შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, დავბრუნდეთ დაძაბულობის შენელების გზაზე, განვამტკიცოთ მშვიდობა.

„ჩვენ გვინდა, — თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, — ძირეულად გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ურთიერთობანი, განვამტკიცოთ და განვავითაროთ ყველა კეთილი საწყისი ამ ურთიერთობაში“.

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეო!

მინდა, გამართლდეს იმედები, რომლებსაც წარმოშობს მადრიდის შეხვედრის შედეგები. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ყველაფერს იღონებს ამისათვის.

ნება მიბოძეთ, დასასრულ მადლობა ჭოვახსენო ესპანეთის ხალხსა და მთავრობას მადრიდის შეხვედრის კარგი ორგანიზაციისა და ჩვენდამი გამოჩენილი მასპინძლობისათვის.

კინემატოგრაფიული ივერიადა

ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს თავისი შინაგანი მხატვრული ლოგიკა აქვს, ფორმალისოდ შეუძლებელია მისი ჭეშმარიტი არსებობა. „წიგნი ფიცისა“ შეიცავს ამგვარ ლოგიკას, რომლისთვისაც თავისუფლად შეიძლებოდა გვეწოდებინა ორასი წლის მანძილზე გაშლილი კინემატოგრაფიული ივერიადა. ეს არის მრავალგანზომილებიანი ფილმი, რომელიც მე-16 საუკუნიდან დაწყებული მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე მოგვითხრობს ივერიის ტრაგიკულ, მაგრამ ბრძნულსა და გმირულ ისტორიას. მივიღეთ რეალისტური, ღრმად შთამბეჭდავი კინოხელოვნების შედეგი, რომლის ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობის ფარგლები ვრცელია და ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებასთან ერთად სულიერი დამოტიზმით გვიბიძგებს ეროვნული ერთობის ერთადერთი სწორი გაგებისაკენ.

ეს მართლაც კინემატოგრაფიული ალეგორია ისეთი გაბედული ოსტატური შემართებაა, რომ ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებს ფილმის მთელი დამდგმელი კოლექტივი — რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, სცენარისტი ანზორ სალუქვაძე, დამდგმელი ოპერატორი ლევან ნამგალაშვილი, მხატვარი დამდგმელი კახი ხუციშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, მეცნიერ-კონსულტანტი ნოდარ ასათიანი, ხმის ოპერატორი დ. გედევანიშვილი. ძნელია მსახიობთაგან ვინმეს მისცე არსებითი ხასიათის შენიშვნა. როგორც ქართველი, ისე მოწვეული მსახიობები — იური სოლომონი (მეფე ივანე თეიმურაზ), ანატოლი ბისტროვი (ბორის გოდუნოვი), სოს სარქისიანი (მოვსესი), იური ნაზაროვი (ანდრია ჩჩელანოვი), ვიქტორ ხახანოვი (იგანტ დანილოვი), ალექსი პეტრენკო (გენერალი ტოტლებენი), ალი ისაევ-ავარსკი (ყირიმის თათართა ზნამძღოლი), სერგი ეიგუნოვი (სვეჩინი), ვიაჩესლავ გუნინი (რეშეტიკოვი), ნინა იურასოვა (ეკატერინე მეორე) ბრწყინვალედ ასრულებენ თავიანთ როლებს. ფილმის ქართველი მსახიობები ასევე შემოქმედებითს სტიქიაში არიან. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ თენგიზ არჩვაძის (მეფე ალექსანდრე, მეფე ერეკლე), ზურაბ ყიფშიძის (ალექსანდრე ამილახვარი), ლიანა ასათიანის (დარეჯან დედოფალი) ბოლომდე გაბრწყინული, შესანიშნავი აქტიორული თამაში. სამწუხაროა, რომ ყველას დასახელებას ვერ ვახერხებთ. ერთიანად შეკრული, ასე დიდი შემოქმედებითი კოლექტივის მთლიანად წარმოდგენა პერსონალურად — შეუძლებელია.

როგორც ყოველთვის, უზადოდ ჟღერდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ჯანსაღ კახიძის დირიჟორობით. წუნს ვერ დადებთ, როგორი შენიშვნებიც უნდა გააკეთოთ, კომბინირებული გადაღებების, რეჟისურის, მხატვარ-გრიმიორების, დეკორატორების, განათების, რეკვიზიტის, მონტაჟის ოსტატების ნამუშევარს, ჩვენ ვიხილეთ ფილმის საოცრად ერთიანი შემოქმედებითი კოლექტივი და ეს დიდად სასიხარულოა.

მთელი ფილმი აღსავსეა ოსტატურად დადგმული სცენებით. ისტორიულ რეალიებს ისე ორგანიულად ერწყმიან გამოგონილი სახეები, მგრეხები, პასაჟები, რომ გარჩევა ძნელი ხდება — სად იწყება ან სად თავდება ერთი თუ მეორე. ეს როგორც სცენარისტის, ისე რეჟისორის დიდი გამარჯვებაა.

დღეს ყველამ იცის, რომ კინემატოგრაფიაში ფსიქოლოგიური ჩაღრმავებისა და გარეგნული ფონის დამაჯერებლობის გასაძლიერებლად შეჩრილია თეატრალიზებული ფერმენტი. როგორც თანამედროვე თეატრს მიდრეკილება აქვს კინოს ზოგიერთი ხერხისაკენ. „წიგნი ფიცისა“, როგორც მონუმენტური კინოპოპეა, იმის მაგალითისაც გვაძლევს, თუ რა შეგვინიერია ფილმი, რომელიც მაყურებელს უჩვენებს სინამდვილეს კინემატოგრაფიულ-თეატრალური ეზობრივი სინკრეტიზმით. ამ ენით მეტყველებს მთელი ფილმი, რომლის მეცნიერულ სიზუსტეს (კინოსათვის საჭირო ზოგიერთ გადახვევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაგალითად, გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ ალექსანდრე მეფის — საკუთარი მამის მოკვლას პარლამენტში) და მხატვრულ ეფექტს აღფრთოვანებაში მოვყავართ.

რადა ღირს თუნდაც ისეთი ძლიერი სახლხო სცენები, რომლებიც მკვეთრად განასხვავებენ ამ ფილმს „აგონიისაგან“, სადაც ის არ არის, რასაც აქ ვხედავთ (ხალხის ფართოდ ჩვენება სასახლეების გვერდით). ჟურნალისტის მომგვრელია დიდი ზომიერებით, ოსტატურად დადგმული ქეთევანისა და მეფედ იოანიმის წამების, ჭირისგან სასიკვდილოდ განწირული დედის გაქცევა — შვილებს რომ ანლოს არ იკარებს — იქნება ისინი მაინც გადარჩენონ, მოვსესის გმირობა — მოწამებრივი სიკვდილი, ბატალიები, მძიმე კრიტიკული მომენტების ტრაგიკული სცენები. მშვენივრად არის ნაჩვენები ლევან ბატონიშვილი — ერეკლეს ვაჟი — დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა, ნიჭიერი პოლიტიკოსი და გაბედული სარდალი, რომელსაც მთელი ერი სასოებით შესცქეროდა, მისი საიდუმლოებით მოცული სიკვდილი, გლოვა, ვერაგობანი მეფეთა კარზე, ერთი სიტყვით— ორსაუკუნოვანი ივერიადა, რომელიც გამოსავალს ეძებდა და კიდევაც იპოვა!

ფილმში ასევე კარგად არის ნაჩვენები მე-16 — მე-18 საუკუნეების ფეოდალური საქართველოს შინაგანი აშლილობა, წინააღმდეგობანი, ბრძოლა ერთპიროვნულად ბატონობისათვის, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ორი დიდი ონავრის — ოტომანთა იმპერიისა და შაჰის სპარსეთის მარწუხებში მოქცეულ შედარებით პატარა ქრისტიანულ სახელმწიფოს. მას უეჭველად ფიზიკური გაქრობის ბედი არ ასცდებოდა, რომ არ ყოფილიყო ხალხის თავგანწირვა, მამაცი ადამიანებისათვის (ქეთევანი) რწმენისა და ხალხის ერთიანობა, თავდადებულ პატრიოტთა გმირობა და ბრძნული განკვრეტა მომავლისა. ძნელია, ნამდვილად ძნელია მოკლე წერილში მიახლოებით მაინც შეიძლო გადმოსცე ხუთსერიიანი კინორომანის სიუჟეტი, შინაარსი ფილმისა, რომლის ჩვენება შვიდი საათი გრძელდება.

შეუძლებელი იყო მოენახათ უკეთესი ფინალი, ვიდრე აქ არის მიგნებული, ფილმის ეპილოგში გვესმის მშვენიერი მუსიკის ფონზე მომაჯადოებელი, წინასწარმეტყველური სიტყვები ჩვენი უებრო ვენიოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან — „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც არსებითად მთელი



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲑᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲑᲚᲐᲑᲐᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲚᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲑᲐᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ, თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს, „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იცან. დღეს გთავაზობთ ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების ერთ-ერთ ამსახველ მომენტს თბილისის „დინამოსა“ და ვოროცლავის „გვარდიის“ შეხვედრიდან. იერიშზეა თბილისელი გ. დარსაძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ვ. გოგლიძის მემორიალი

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო, მეთხუთმეტე ტური. გავრიკოვმა დაამარცხა მურშედი, მოგაროვა 11 ქულა და ამრიგად, მოიპოვა საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალი. ზაიჩიკმა მოუგო ნოგგირასს, სტურუამ-გურგენიძეს. ველიჩკოვიჩიადამსკი, ჰენლი-ოლი ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო. დღეს დილით მთავრდება გადადებული პარტიები, საღამოს კი ტურნირის საზეიმო დახურვაა.

ᲛᲔᲥᲘᲙᲝᲨᲘ დასასრულს მიუახლოდა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე მოსკოველ სტუდენტს ფლიურა ხასანოვას 9,5 ქულა (11 შესაძლებლიდან) აქვს და ერთპიროვნულად ლიდერობს.

ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲔᲢᲐᲞᲐᲖᲔ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲕᲔᲑᲔᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜ ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყაღჯომაოდო კომპლექსში დამთავრდა წყალბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების საწყისი ეტაპი (თბილისის ქვეჯგუფი). პირველად ერთმანეთს შეხვდნენ წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი) და მინსკის ასკ. ანგარიშით 11:10 გაიმარჯვეს შავიზღვისპირელებმა. შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლიდერები — თბილისელი და მოსკოველი დინამოელები. ამ მატჩის პირველი ორი პერიოდი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მესამე პერიოდში კი თბილისელებმა გაცილებით სუსტად ითამაშეს, ხუთი ბურთი გაუშვეს და მხოლოდ ორი გაიტანეს. განსაკუთრებით უზუსტონი იყვნენ თბილისელები საშუალო მანძილიდან ტყორცნისას და მათს კომბინაციებსაც აშკარად აკლდა სიმწვავე. საბოლოოდ მატჩი მოსკოველთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 12:6 (2:1, 2:2, 5:2, 3:1).

ამრიგად, ქვეჯგუფში პირველი ადგილი მოსკოვის „დინამომ“ დაიკავა. მეორენი თბილისელები იყვნენ. ნოემბერში მოსკოველი და თბილისელი დინამოელები გაგრძელებენ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე ასპარეზობას, რომელიც შემდეგნაირად გაიმართება: რვა საუკეთესო გუნდი განწყლდება ორ ნახევარფინალურ ჯგუფად, შემდეგ კი 4 საუკეთესო კოლექტივი, ანუ ფინალური ოთხეული წრიული სისტემით გაითამაშებს სსრ კავშირის თასს.

თ. მიგრიაული.

ᲯᲔᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთში სსრ კავშირის თასების გათამაშების საწყისი ეტაპი. გთავაზობთ ქვეჯგუფებში გამართული მატჩების შედეგებს: **ქალები.** „დინამო“-ბურევესტნიკი“ — 7:2, „ზენიტი“-„ლოკომოტივი“ —6:2, „სპარტაკი“-სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდი —3:6; **ვაჟები.** „დინამო“-„ტრუდი“—7:2, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდი-„სპარტაკი“— 6:3, „ლოკომოტივი“-„ბურევესტნიკი“ — 2:7. ამრიგად, ქვეჯგუფებში ადგილები ასე განაწილდა: **ქალები. პირველი. ქვეჯგუფი.** 1. შეიარაღებული ძალების გუნდი, 2. „სპარტაკი“, 3. „ზენიტი“, 4. „ლოკომოტივი“; **მეორე ქვეჯგუფი.** 1. „დინამო“, 2. „ტრუდი“, 3. „ბურევესტნიკი“; **ვაჟები. პირველი ქვეჯგუფი.** 1. შეიარაღებული ძალების გუნდი, 2. „ბურევესტნიკი“, 3. „სპარტაკი“, 4. „ლოკომოტივი“; **მეორე ქვეჯგუფი.** 1. „დინამო“, 2. „ზენიტი“, 3. „ტრუდი“. ახლა უკვე დაკავებული ადგილების მიხედვით გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები: დღეს V-VI, ხვალ — III-IV, ზეგ — I-II ადგილებისათვის. ეს მატჩები ჯვარედინი შეხვედრების წესით მოეწყობა (ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გამოსულები ითამაშებენ I-II ადგილებისათვის და ა. შ.).

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲘᲠᲔᲑᲣᲠᲗᲘ. ბუდაპეშტში გაიმართა ოლიმპიური ტურნირის შერჩევითი მატჩი უნგრეთისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 1:0 თამაშის მიწურულს ბურთი გაიტანა ჩერენკოვმა. ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვიაჩ. ჩანოვი, შიშკოვი, ჟუპიკოვი, იანუშევსკი, მილეშკინი, ე. კუზნეცოვი, გოცმანოვი, ალეინიკოვი, გრაჩოვი (მელნიკოვი), ჩერენკოვი, გაბაევი (გურინოვიჩი). ამ შერჩევით „ა“ ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	3	2	1	0	6-2	5
უნგრეთი	3	1	1	1	4-3	3
ბულგარეთი	2	0	2	0	3-3	2
საბერძნეთი	2	0	0	2	1-6	0

სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს კიდევ სამი კალეწდარული მატჩი აქვს გასამართავი: 5 ოქტომბერს — სტუმრად საბერძნეთის გუნდთან, 12 ოქტომბერს უმასპინძლებს ბულგარელებს, ხოლო 1984 წლის 25 აპრილს მიიღებს უნგრელებს.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ნორვეგიელები შინ დამარცხდნენ ბულგარელებთან შეხვედრაში — 1:2 (მეოთხე ქვეჯგუფი), ჰოლანდიელებმა კი უმასპინძლეს ისლანდიელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 (მეშვიდე ქვეჯგუფი).

ᲛᲔᲫᲚᲔᲣᲚᲜᲝᲑᲐ. ოდესაში მიმდინარე საკავშირო თასების გათამაშებაზე ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ულიანოვსკელმა რაისა სადრეგინოვამ — 31.27,57. ადრინდელი რეკორდი (31.35,1) ეკუთვნოდა პერმელ ნინო ბარანოვას. თასის გათამაშებასთან ერთად 10 კილომეტრზე რბენაში შეჯიბრები სსრ კავშირის ჩემპიონატის პროგრამით გაიმართა და მსოფლიოს ახალ რეკორდსმენს ოქროს მედალი გადაეცა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა იტალიაში თავისი ტურნეს პირველი სამი მატჩიდან ორი მოიგო. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა იტალიაში გრძელდება.

Კ. ᲥᲐᲠᲐᲑᲐᲙᲘ



გარდაიცვალა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი, 1943 წლიდან სკკპ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი კალისტრატე თომას ძე ქარაბაკი.

კ. ქარაბაკი დაიბადა 1921 წელს სოფელ ბაღდადში გლეხის ოჯახში. მან შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. ხოლო 1942 წლიდან 1943 წლამდე სამშობლოს დამცველთა რიგებშია 1943 წლიდან კვლავ მაიაკოვსკის „კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობას დაუბრუნდა.

კ. ქარაბაკის შრომისმოყვარეობა და ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როცა მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირად დაიწინაურა. მან თავი გამოიჩინა როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორმა, დაკისრებული საქმის, საგეგმო დავალებების უზადო შემსრულებელმა.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს კ. ქარაბაკის დამსახურება და ყურძნის უნგი მოსავლის მიღებისათვის 1950 წელს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, პრინციპული კომუნისტი, საკოლმეურნეო შრომის დამკვრელი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორის მოადგილე
გ. ᲜᲐᲒᲭᲔᲑᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ გრძელდება მსმენელთა მიღება 1983-1984 სასწავლო წელს „პატენტმცოდნეობისა“ და „გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ეკონომიკის“ ფაკულტეტებზე (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

სწავლების ვადა ორი წელია, მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ, არასამუშაო საათებში. (ძირითადად შაბათსა და კვირას).

ინსტიტუტში მიიღებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

მიღებისას უპირატესობა ენიჭებათ გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს, მეცნიერ მუშაკებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების აქტივისტებს, გამომგონებლობის და რაციონალიზაციის ბიუროს, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და საპატენტო განყოფილების მუშაკებს.

ინსტიტუტს აქვს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

განცხადებები მიიღება — ინსტიტუტის რექტორატში 1983 წ. 16 სექტემბრამდე.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება და რეკომენდაცია ძირითადი სამუშაო ადგილიდან, საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით (განცხადებისა და რეკომენდაციის ბლანკის მიღება შეიძლება რექტორატში).
2. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ) დამოწმებული ორგანიზაციის მიერ.
3. ავტობიოგრაფია.
4. დოკუმენტი განათლების შესახებ (პირი).

სხვა საბუთები გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების წევრობის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორობის შესახებ მოწმობა, (თუ ასეთები არის) უნდა წარმოადგინოთ განცხადების ჩაბარებისა და გასაუბრების დროს.

გასაუბრება ინსტიტუტში შემსვლელებთან მოეწყობა ა. წ. 24 სექტემბერს 16 საათიდან 20 საათამდე და 25 სექტემბერს 10 საათიდან 15 საათამდე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობის № 401 და № 402 აუდიტორიებში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49).

მეცადინეობა იწყება 1983 წ. 9 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, 380012, ჩელუსკინელების ქ. № 14, მესამე სართ. ტელ 34-06-58.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ მსმენელთა მიღებას 1983-84 სასწავლო წლისთვის შემდეგი სპეციალობებით: ინგლისური ენა, არაბული ენა (მთარგმნელი სინქრონისტი, მთარგმნელი — რეფერენტი, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელი).

განცხადებას თან უნდა დაერთოს: დიპლომის პირი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (ფორმა № 286), ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი (3X4).

განცხადებები მიიღება ყოველდღე 1983 წლის 10 სექტემბრამდე ინსტიტუტის შენობაში.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი, 45. ტელ: 22-11-82, 23-11-25.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოური ეტიუდები“. 10.00 — „მომამბე“. 10.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ხარკოვი“, „ნალჩიკი“. 11.10 — ქართული ბალეტის ისტორიიდან ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. 16.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „სერიოჟა“. 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“. 19.00 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „სტუდენტური ზაფხულის მისამართი — ვოლოგდის ოლქი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მომამბე“. 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა“. ჟანო ბაგრატიონი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის „კინოს სამყაროში“. 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.25 — დოკუმენტური ფილმი „ურუკვეი კავშირი“. 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი „მოკლულია მოვალეობის აღსრულებისას“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 16 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მონოლოგები სიყვარულზე“. 10.00 — „მომამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ჭიაურელი“. 11.30 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. „კინოს სამყაროში“. 12.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დედა, მამა და ჩვენ 12“. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ულუს გული“, „ზუქის სათავეებთან“. 18.00 — მოსწავლეთათვის. საბავშვო ოპერა „ყვინჩო მამალო“. 18.50 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა“. ჟანო ბაგრატიონი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“. II მოქმედება. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოსკოვის სატირის თეატრი ეკრანზე“. 17.20 — განცხადებები. 17.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამა სადალაქოში“. 17.40 — მხატვრული ფილმი „კიში და ორჩანთა“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ფსკოვი“, „დუბავა“. 10.00 — „მომამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „მთელი ჩემი ბიოგრაფია“. 11.15 — რესპუბლიკური კინოსტუდიების დოკუმენტური ფილმების პროგრამა (მ.). 11.50 — მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი“. 17.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ლადო გუდიაშვილთან“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმი „მაფინი და მისი მეგობრები“. 18.10 — „ფერადი კარვების ბანაკი“. 18.40 — რეკლამა. 18.45 — სოხუმის პიონერთა სასახლის ინტერნაციონალური გუნდის კონცერტი. 19.15 — „წესი-რიგი ყველგან, ყველაფერში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოყო ადამიანი“. 19.30 — „მომამბე“. 20.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე: 1/16 ფინალი მინსკის „დინამო“ — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია). რეპორტაჟი მინსკიდან. შესვენების დროს „სოფლის სადღეისო საზრუნავი“ და ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „40 ძნელი წუთი“. 21.45 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. 1/32. ფინალი. მოსკოვის „სპარტაკი“ — ფინეთის „პიკი“. II ტაიმის რეპორტაჟი მოსკოვიდან. 23.20 — ახალი ამბები. 23.35 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. 1/32 ფინალი. კიევის „დინამო“ — საფრანგეთის „ლავალი“. II ტაიმი. რეპორტაჟი კიევიდან.

მეორე პროგრამა. 16.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.50 — განცხადებები. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „იქ, სადაც დილა იბადება“. 17.45 — მხატვრული ფილმი „მეფე-ირემი“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 17 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერგვ საოცრება“. 10.00 — „მომამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობათ, ცხენებო!“. 11.00 — ხალხური შემოქმედება „სიმღერის შესწავლა“. 11.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 11.50 — „რიტმი, რიტმი, რიტმი“... დილის გასართობი პროგრამა. 12.30 — ლიტერატურული გადაცემა „ოსეს იმედაშვილი“. 13.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.15 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. „მეგობრების ეკრანი“ (ასტრახანის ტელევიზიის პროგრამა). 14.15 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა. 15.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.10 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი. 15.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 16.00 — საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები (ვეტერანები). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს — ინონარკვევი. 17.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.50 — „თბილისელები და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 18.25 — მოსწავლეთათვის. კონკურსი „ფერადი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გუნდი). 18.50 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „რაკომში აძლევს რეკომენდაციას“. 19.10 — სპორტული გადაცემა „ევროპის სტადიონებზე“. 20.00 — „მომამბე“. 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „დიალოგი ახალგაზრდა დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილთან. 21.30 — „მეერიან ახალგაზრდები“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 18 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. 10.00 — „მომამბე“. 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმში — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაშო“. 12.00 — „ჯანმრთელობა“. — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 13.15 — „საკვირაო გამოფენა“. 13.20 — „ხალხური შემოქმედება“ — „ანაგელი მოხუცები“. 13.45 — „კინოაფიშა“. 14.15 — „იაგნანას“ წერილების კვალდაკვალ“. 15.15 — „საკვირაო გამოფენა“. 15.20 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“ — მხატვრული ფილმი „სიტყვა ეძლევა დაცვას“. 17.10 — „ვესტნიკი“. 17.40 — „საკვირაო გამოფენა“. 17.45 — საესტრადო კონცერტი. 18.30 — „მომამბე“. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ერევნის „არარატი“ — თბილისის „დინამო“. რეპორტაჟი ერევნიდან. შესვენების დროს — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“ და კინონარკვევი. 20.45 — „ზღაპრის გუდა“. 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ქუთაისის „ტორპედო“ — ბაქოს „ნეფთჩი“. II ტაიმის რეპორტაჟი ქუთაისიდან. 21.45 — კინონარკვევი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.). 22.55 — კონცერტი. 23.15 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 23.20 — ევროპის პირველობა ფრენბურთში, სსრ კავშირი — პოლანდია. ქალები (გადმოცემა ადგ-დან). 23.50 — ევროპის პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ფინალი. (გადმოცემა უნგრეთიდან).

ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — „რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 8.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის მ. თომაძე. 11.15 — „პარტეული ლოცვრება“. „ანგარიშებება-ანრიეგენები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში“. რეპორტაჟი „კომუნისტთა ღირსების საქმე“. 11.30 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა. 12.10— „ნაშუადღევს“.; საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა“. კ. პაუსტოვსკი, „ნახტომი სამხრეთისაკენ“. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.00 — თბილისის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „პიროვნების აღზრდა“. საუბარი. 19.20 — უკრავს სსრ კავშირის დიდი თეატრის მეგვიოლინეთა ანსამბლი. 19.40 — „მოსკოვთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი“. რადიოჟურნალი (თბილისიდან). 21.00 — ძველისპირული. 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასასმარებლად. 21.30 — ა. მაჭავარიანი. რომანსები. 22.00— ქართული ხალხური სიმღერები. 22.15 — „კომუნისტები“. ნარკვევი „კვალი კეთილი“. 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის მ. თომაძე. 11.15 — „პარტეული ლოცვრება“. „ანგარიშებება-ანრიეგენები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში“. რეპორტაჟი „კომუნისტთა ღირსების საქმე“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.10— „ნაშუადღევს“.; საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა“. კ. პაუსტოვსკი, „ნახტომი სამხრეთისაკენ“. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.00 — თბილისის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „პიროვნების აღზრდა“. საუბარი. 19.20 — უკრავს სსრ კავშირის დიდი თეატრის მეგვიოლინეთა ანსამბლი. 19.40 — „მოსკოვთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი“. რადიოჟურნალი (თბილისიდან). 21.00 — ძველისპირული. 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასასმარებლად. 21.30 — ა. მაჭავარიანი. რომანსები. 22.00— ქართული ხალხური სიმღერები. 22.15 — „კომუნისტები“. ნარკვევი „კვალი კეთილი“. 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — კონცერტი ლ. იაშვილის ნაწარმოებებიდან. 11.15 — მუსიკალური მოზაიკა. 11.50 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია. 12.00 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის“. ნარკვევი „მეგობრობის გზა“. 12.25 — „ჩვენი ლაშქარი“. მუსიკალური ნარკვევი „მღერის ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „ცრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა?“ „საუღელტეხილო გზა — ამოცანები, პრობლემები“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური მუსიკა. 12.30 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან“. 14.00 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მსუბუქი საორკესტრო პიესები. 17.40 — მოსწავლეთათვის. ი. ჭავჭავაძე, „ცოდნა